პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

24 მარტი 1939 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო ფასი 30 კაპ. № 11 (98).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

1939 წლის 22 მარტს შესდგა საკ. კ. პ. (ბ) ახლად არჩეული ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა აირჩია ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი ორგანოები შემდეგი შემადგენლობით:

1) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო: ამხანაგები — ა. ა. ანდრეევი, კ. ე. ვოროშილოვი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, ი. ბ. სტალინი, ნ. ს. ხრუშჩოვი.

კანდიდატები: ამხანაგები—ლ. პ. ბერია. ნ. მ. შვერნიკი.

2) ცენტრალური კომიტეტის სამდივნო: ამხანაგები —ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, გ. მ. მალენკოვი, ი. ბ. სტალინი.

3) ცენტრალური კომიტეტის ორგბიურო: ამხანაგები —ა. ა. ანდრეევი, ა. ა. ჟდანოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ლ. ზ. მეხლისი, ნ. ა. მიხაილოვი, ი. ბ. სტალინი, ნ. მ. შვერნიკი, ა. ს. შჩერბაკოვი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ა. ა. ანდრეევი.

ცენტრალური სარევიზიო კომისია

1939 წლის 22 მარტს შესდგა ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა.

ცენტრალურმა სარევიზიო კომისიამ კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. მ. ფ. ვლადიმირსკი.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის მიერ არჩეული საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობა

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრები

1. ა. ა. ანდრეევი
2. ვ. მ. ანდრიანოვი
3. ნ. მ. ანცელოვიჩი
4. მ. დ. ბაგიროვი
5. ა. ე. ბადაევი
6. ი. ა. ბენედიქტოვი
7. ლ. პ. ბერია
8. გ. ა. ბორკოვი
9. ს. მ. ბუდიონი
10. ნ. ა. ბულგანინი
11. მ. ა. ბურმისტენკო
12. ბ. ლ. ვანიკოვი
13. ვ. ვ. ვახრუშევი
14. ნ. ა. ვოზნესენსკი
15. კ. ე. ვოროშილოვი
16. ა. ი. ვიშინსკი
17. ბ. ა. დვინსკი
18. ვ. ა. დონსკოი
19. ა. ი. ეფრემოვი
20. ა. ა. ჟდანოვი
21. ს. ბ. ზადიონჩენკო
22. ს. ე. ზახაროვი
23. ა. გ. ზვერევი
24. რ. ს. ზემლიაჩკა
25. ლ. მ. კაგანოვიჩი
26. მ. მ. კაგანოვიჩი
27. მ. ი. კალინინი
28. ლ. რ. კორნიეცი
29. დ. ს. კოროტჩენკო
30. ა. ნ. კოსიგინი
31. ა. ა. კუზნეცოვი
32. ნ. გ. კუზნეცოვი
33. გ. ი. კულიკი
34. მ. მ. ლიტვინოვი
35. ი. ა. ლიხაჩევი
36. ს. ა. ლოზოვსკი
37. პ. მ. ლიუბავინი
38. გ. მ. მალენკოვი
39. ვ. ა. მალიშევი
40. დ. ზ. მანუილსკი
41. ვ. ნ. მერკულოვი
42. ფ. ა. მერკულოვი
43. ლ. ზ. მეხლისი
44. ა. ი. მიქოიანი
45. მ. ბ. მიტინი
46. ნ. ა. მიხაილოვი
47. ვ. მ. მოლოტოვი
48. ვ. დ. ნიკიტინი
49. კ. ი. ნიკოლაევა
50. ნ. მ. პეგოვი
51. მ. გ. პერვუხინი
52. პ. კ. პონომარენკო
53. ა. ნ. პოსკრებიშევი
54. პ. ნ. პოსპელოვი
55. ვ. პ. პოტიომკინი
56. ი. ვ. როგოვი
57. ი. კ. სედინი
58. ნ. ა. სკვორცოვი
59. ი. ბ. სტალინი
60. ი. ტ. თევოსიანი
61. ს. კ. ტიმოშენკო
62. ა. ა. ფადეევი
63. ნ. ს. ხრუშჩოვი
64. ა. ი. შახურინი
65. ნ. მ. შვერნიკი
66. მ. ფ. შკირიატოვი
67. გ. მ. შტერნი
68. ე. ა. შჩადენკო
69. ა. ს. შჩერბაკოვი
70. უ. იუსუპოვი
71. ემ. იაროსლავსკი

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წევრობის კანდიდატები

1. ა. მ. ალემასოვი
2. დ. ი. ანტონოვი
3. გ. ა. არუთინოვი
4. ს. ი. ბაბაევი
5. ვ. მ. ბაქრაძე
6. ნ. ი. ბირიუკოვი
7. ი. პ. ბოიცოვი
8. გ. დ. ვეინბერგი
9. ი. ა. ვლასოვი
10. მ. მ. გვიშიანი
11. ს. ა. გოგლიძე
12. ა. ფ. გორკინი
13. გ. პ. გრომოვი
14. ნ. ი. გუსაროვი
15. ვ. გ. დეკანოზოვი
16. მ. ფ. დენისოვი
17. პ. ი. დორონინი
18. ა. ა. დუბროვსკი
19. ვ. გ. ჟავორონკოვი
20. პ. ს. ჟემჩუჟინა
21. ვ. პ. ჟურავლიოვი
22. ვ. პ. ზოტოვი
23. ნ. გ. იგნატოვი
24. ს. პ. იგნატიევი
25. ა. გ. ისკანდეროვი
26. კ. კ. კარტაშევი
27. ს. ვ. კაფტანოვი
28. კ. ი. კაჩალინი
29. ბ. ზ. ქობულოვი
30. მ. პ. კოვალიოვი
31. ა. გ. კოლიბანოვი
32. პ. ტ. კომაროვი
33. ი. ს. კონევი
34. ს. ნ. კრუგლოვი
35. პ. ხ. კულაკოვი
36. ა. დ. ლოქტიონოვი
37. ი. გ. მაკაროვი
38. ი. ი. მასლენიკოვი
39. კ. ა. მერეცკოვი
40. ნ. ი. ნევეჟინი
41. ი. ფ. ნიკიშევი
42. დ. გ. პავლოვი
43. გ. ნ. პალცევი
44. ნ. ს. პატოლიჩევი
45. პ. ს. პოპკოვი
46. გ. მ. პოპოვი
47. ვ. პ. პრონინი
48. გ. ს. რასტეგინი
49. გ. კ. სავჩენკო
50. ა. ი. სამოხვალოვი
51. პ. ი. სელეზნიოვი
52. ი. პ. სერგეევი
53. ზ. ტ. სერდიუკი
54. ი. ვ. სმუშკევიჩი
55. ლ. ა. სოსნინი
56. მ. ი. სტაროსტინი
57. ვ. ფ. სტარჩენკო
58. ი. ვ. სტოროჟევი
59. ნ. ვ. ფეკლენკო
60. ა. ა. ფროლკოვი
61. ი. ს. ხოხლოვი
62. კ. ნ. ჩარკვიანი
63. გ. ნ. ჩერნოუსოვი
64. ა. ს. ჩუიანოვი
65. ფ. ვ. შაგიმარდანოვი
66. ბ. მ. შაპოშნიკოვი
67. ტ. ფ. შტიკოვი
68. ვ. ვ. იარცევი

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ არჩეული ცენტრალური სარევიზიო კომისიის შემადგენლობა

1. ა. აბდურახმანოვი
2. ა. ა. ანდრიენკო
3. ი. ს. ანოშინი
4. ვ. ი. ბოიცოვი
5. ვ. ს. ბულატოვი
6. ა. ვ. ვაგოვი
7. მ. ფ. ვლადიმირსკი
8. ა. ა. ვოლკოვი
9. ნ. გ. გრეკოვა
10. ვ. მ. დენისენკო
11. ს. ს. დუკელსკი
12. ს. დ. იგნატიევი
13. ნ. ა. იზოტოვი
14. ა. ფ. კაბანოვი
15. მ. ი. კანუნიკოვი
16. მ. ე. კვასოვი
17. ვ. ა. კისელიოვი
18. კ. ვ. კისელიოვი
19. პ. ფ. კრივონოსი
20. ა. ვ. კუდრიავცევი
21. ი. ა. კუზნეცოვი
22. ფ. ფ. კუზნეცოვი
23. ტ. ი. კულიევი
24. ტ. კულატოვი
25. მ. კურბანოვი
26. პ. ვ. ლავრენტიევი
27. ნ. ი. ლინკუნი
28. პ. პ. ლობანოვი
29. ს. გ. ლუკინი
30. ა. ვ. ლიუბიმოვი
31. ა. ნ. მელნიკოვი
32. ო. პ. მიშაკოვა
33. გ. კ. მიშჩენკო
34. პ. გ. მოსკატოვი
35. ი. ვ. მურუგოვი
36. გ. პ. ოგოროდნიკოვი
37. ა. ს. ფირუზიანი
38. დ. ზ. პროტოპოპოვი
39. ა. ნ. საჯაია
40. გ. პ. სილკინი
41. ს. ე. სკრინიკოვი
42. პ. ვ. სმირნოვი
43. ი. ლ. სტეპანენკო
44. მ. ა. სუსლოვი
45. ს. ნ. ტარასოვი
46. ნ. უნდასინოვი
47. ა. ხუდაი-ბერგენოვი
48. ლ. ფ. ცანავა
49. ი. ა. ჩუბინი
50. ნ. ნ. შატალინი.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობამ 21 მარტს დაამთავრა თავისი მუშაობა

ყრილობის საბოლოო სხდომა 21 მარტს ამხ. **ანდრეევის** თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატთა, ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევნების შედეგების გამოსაქვეყნებლად სიტყვა ეძლევა ამხ. **შვერნიკს**. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მთელს თავის ისტორიაში პარტიას არც-ერთ ყრილობაზე არ ჰქონია ასეთი უდიდესი ერთსულოვნობა არჩევნების დროს, არ უნახავს ერთიანობისა და საბრძოლო დარაზმულობის ასეთი შესანიშნავი დემონსტრაცია, როგორც საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე.

ყრილობის მიერ ასე ერთსულოვნად ხმის მიცემა წარმოადგენს ჩვენი პარტიის სიმტკიცის, ერთიანობისა და მონოლიტობის საუკეთესო დადასტურებას, პარტიისა, რომელიც ისე დარაზმულია თავისი საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ამხანაგ სტალინის გარშემო კომუნიზმის გამარჯვებისათვის შემდგომ საბრძოლველად, როგორც იგი არასოდეს არ ყოფილა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის დღის წესრიგი ამოწურულია. ყრილობის მუშაობა დამთავრდა.

ამხ. ანდრეევი პარტიის XVIII ყრილობას დახურულად აცხადებს.

„გაუმარჯოს ჩვენს სახელოვან ბოლშევიკურ პარტიას! გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს, ურა!“ — ამბობს ამხ. ანდრეევი.

მქუხარე ტაში, რაც უმაგალითო ძალისა და ძლიერების ოვაციაში გადადის. მთელი დარბაზი ფეხზე ადგომით მიესალმება ამხანაგ **სტალინს**, საკ. კ. პ. (ბ) სტალინურ ცენტრალურ კომიტეტს, გაისმის დაუსრულებელი **„ურა“**, შეძახილები ნაციონალურ ენებზე: **„გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს!“, „დიდ სტალინს „ურა“!“** — მძლავრად გრიალებს დარბაზში. ყრილობის დელეგატები, ერთიანი აღტყინებით მოცულნი, მღერიან **„ინტერნაციონალს“**.

XVIII ყრილობამ დაამთავრა თავისი მუშაობა.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა და განიხილა რა ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა ადგენს:

1. მოწონებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული მუშაობა.

2. მოწონებულ იქნას ამხ. სტალინის საანგარიშო მოხსენება და წინადადება მიეცეს ყველა პარტორგანიზაციას იხელმძღვანელონ თავიანთ მუშაობაში ამხ. სტალინის მოხსენებაში წამოყენებული დებულებებითა და ამოცანებით.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიშის გამო

(მიღებულია ერთხმად)

დამტკიცებულ იქნას ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის რეზოლუცია

კომინტერნის აღმასკომში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის მუშაობის შესახებ ამხ. მანუილსკის საანგარიშო მოხსენების გამო

(მიღებულია ერთხმად)

მოისმინა და განიხილა რა კომინტერნში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის ანგარიში, საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობა იწონებს კომინტერნში საკ. კ. პ. (ბ) დელეგაციის პოლიტიკურ ხაზსა და პრაქტიკულ მუშაობას.

არჩევნები კომისიისა საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის შესაცვლელად

ამხ. ანდრეევის ცნობა

ამხანაგებო, დღის წესრიგის მეოთხე პუნქტზე—საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის შესაცვლელად კომისიის არჩევნების შესახებ, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის დავალებით უნდა განვაცხადო შემდეგი:

როგორც ცნობილია, პარტიის XVI ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ს დაავალა გადაემუშავებინა საკ. კ. პ. (ბ) პროგრამა. მაგრამ ყრილობას მაშინ არ აურჩევია საპროგრამო კომისია ახალი პროგრამის პროექტის შესამუშავებლად.

ზედმეტია იმისი მტკიცება, რომ ჩვენი პარტიის არსებული პროგრამა უკვე აღარ შეესაბამება იმ ცვლილებებს, რომლებიც მოხდა სსრ კავშირში მას შემდეგ, რაც ეს პროგრამა მიღებულ იქნა 1919 წელს. ჩვენი პროგრამა ჩამორჩა ჩვენს მიღწევებს. ამავე დროს კი ცნობილია, რომ პროგრამა წინ უნდა უსწრებდეს ჩვენს მიღწევებს, იგი უნდა მოუწოდებდეს პარტიას წინ იმის მოსაპოვებლად, რაც ჯერ კიდევ არ არის მოპოვებული.

ამასთან დაკავშირებით საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს შემოაქვს ყრილობაზე წინადადება—არჩეულ იქნას კომისია საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის გადასამუშავებლად და დაევალოს მას პარტიის უახლოეს ყრილობაზე წარმოადგინოს ახალი პროგრამის პროექტი.

აი, ამხანაგებო, ის წინადადება, რომელიც შემოაქვს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ყრილობის განსახილველად.

სურს თუ არა ვინმეს მიიღოს სიტყვა ცენტრალური კომიტეტის მიერ შემოტანილი წინადადების გარშემო, ან სურს თუ არა ვინმეს შემოიტანოს თავისი წინადადებანი?

ხმები: არა.

ანდრეევი (თავმჯდომარე). მაშინ ნება მიბოძეთ კენჭი ვუყარო. ვინც მომხრეა იმისა, რომ მიღებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წინადადება პარტიის პროგრამის გადასამუშავებლად კომისიის არჩევის შესახებ, გთხოვთ ასწიოთ ბარათები.

გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინაამღდეგი? (არავინ). თავი ვინ შეიკავა? (არავინ).

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის წინადადება მიღებულია ერთხმად. **(ტაში).**

ანდრეევი. შემოტანილია შემდეგი წინადადება პროგრამის გადამმუშავებელი კომისიის პერსონალური შემადგენლობის შესახებ.

უწინარეს ყოვლისა შემოტანილია წინადადება პროგრამის გადამმუშავებელი კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ამხანაგი სტალინი **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, შეძახილები: „ურა!“).**

ანდრეევი (თავმჯდომარე). ნება მიბოძეთ კენჭი ვუყაროთ ვინც მომხრეა იმისა, რომ ამხანაგი სტალინი არჩეულ იქნას კომისიის თავმჯდომარედ, გთხოვთ ასწიოთ ბარათები. **(ტაში).** გთხოვთ დაუშვათ. ვინ არის წინაამღდეგი? თავი ვინ შეიკავა? წინადადება მიღებულია ერთხმად. **(ყველანი ფეხზე სდგებიან, მქუხარე ტაში, რომელიც ოვაციაში გადადის, შეძახილები: „ურა!“).**

საპროგრამო კომისიის წევრებად წამოყენებული არიან შემდეგი ამხანაგები ანბანის წესით: ანდრეევი, ბაგიროვი, ბენედიქტოვი, ბერია, ვოზნესენსკი, ვოროშილოვი, ვიშინსკი, დონსკოი, ჟდანოვი, კალინინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, კოროტჩენკო, ლოზოვსკი, მალენკოვი, მანუილსკი, მეხლისი, მიქოიანი, მიტინი, მოლოტოვი, პოსპელოვი, სკვორცოვი, ხრუშჩოვი, შვერნიკი, შჩერბაკოვი, იუსუპოვი და იაროსლავსკი.

არის თუ არა სხვა წინადადება კომისიის შემადგენლობის შესახებ?

ხმები: არ არის.

ანდრეევი. ნება მიბოძეთ კენჭი ვუყარო, როგორ—პერსონალურად თუ მთლიანად?

ხმები: მთლიანად.

ანდრეევი. ვინც იმის მომხრეა, რომ დამტკიცებულ იქნას საპროგრამო კომისიის დასახელებული შემადგენლობა, გთხოვთ ასწიოთ ბარათები. ვინ არის წინაამღდეგი? თავი ვინ შეიკავა? კომისიის შემადგენლობა დამტკიცებულია ერთხმად.

საკ. კ. პ. (ბ) პროგრამის შესაცვლელად საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ არჩეული კომისიის შემადგენლობა

1. სტალინი (თავმჯდომარე)
2. ანდრეევი
3. ბაგიროვი
4. ბენედიქტოვი
5. ბერია
6. ვოზნესენსკი
7. ვოროშილოვი
8. ვიშინსკი
9. დონსკოი
10. ჟდანოვი
11. კალინინი
12. ლ. მ. კაგანოვიჩი
13. კოროტჩენკო
14. ლოზოვსკი
15. მალენკოვი
16. მანუილსკი
17. მეხლისი
18. მიქოიანი
19. მიტინი
20. მოლოტოვი
21. პოსპელოვი
22. სკვორცოვი
23. ხრუშჩოვი
24. შვერნიკი
25. შჩერბაკოვი
26. იუსუპოვი
27. იაროსლავსკი

ამხ. ლ. პ. ბერიას სიტყვა



ამხანაგებო, ჩვენი სახელოვანი პარტია ბოლშევიკებისა თავის XVIII ყრილობაზე მოვიდა მძლავრი, ერთიანი, მონოლითური, მტკიცედ დარაზმული თავისი ბელადის დიდი სტალინის გარშემო **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში შეაჯამა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო - ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები და დაგვისახა გზები ჩვენი შემდგომი ძლევამოსილი წინსვლისა კომუნიზმისაკენ.

ბოლშევიკების პარტიას, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხს უფლება აქვთ იამაყონ გამარჯვებებით, რომლებიც მოპოვებულია ამხანაგ სტალინის ბრძნული წინამძღოლობით.

ჩვენი ქვეყანა მძლავრი, მდიდარი და კულტურული გახდა. ჩვენმა ხალხმა თავისუფალი, ბედნიერი და საამური ცხოვრებით იწყო ცხოვრება.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად აშენდა ახალი საზოგადოება, რომელშიც მოსპობილია ექსპლუატატორული კლასები, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია და მშრომელები ყველა მატერიალური და კულტურული დოვლათის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონები არიან.

ჩაგვრისა და ექსპლუატაციისაგან, უუფლებობისა და სიღატაკისაგან განთავისუფლებულმა ხალხმა გაშალა მის წიაღში დაფარული შემოქმედებითი ძალები. ხალხის წიაღიდან აღიზარდნენ უშიშარი გმირები, რომლებიც შესანიშნავ გმირობას სჩადიან თავისი სამშობლოს სადიდებლად.

სწრაფად გაიფურჩქნა ნამდვილი —ხალხური საბჭოთა კულტურა. მუშათა კლასისა და გლეხობის წიაღიდან საბჭოთა ხელისუფლების წლებში გაიზარდა უდიდესი არმია ინტელიგენციისა, რომელიც წარმატებით ეუფლება მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის დიად მოძღვრებას და რომელსაც გაბედულად მიჰყავს წინ მეცნიერებისა და ტექნიკის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ყველა დარგი.

პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით და ყურადღებით გარემოცული ჩვენი ინტელიგენცია — ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი—გამსჭვალულია საბჭოთა პატრიოტიზმის მგზნებარე გრძნობით, უსაზღვროდ ერთგულია ლენინ-სტალინის საქმისა.

ახალი მოწინავე ტექნიკის საფუძველზე გაიშალა სტახანოვური მოძრაობა, რომელიც ამსხვრევს ძველ ნორმებს და რომელსაც უმაღლეს დონეზე აჰყავს სოციალისტური შრომის ნაყოფიერება. ბოლშევიკურმა პარტიამ გამოზარდა და აღზარდა მრავალრიცხოვანი კადრები პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელებისა, რომლებიც უსაზღვროდ ერთგულნი არიან ლენინ-სტალინის პარტიისა და რომლებიც წარმატებით ეუფლებიან ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ხელოვნებას.

განუხრელად ანხორციელებდა რა ამხანაგ სტალინის ბრძნულ მითითებებს რევოლუციური სიფხიზლის გაძლიერების შესახებ, ბოლშევიკების პარტიამ მთელი ხალხის ერთსულოვანი მხარდაჭერით გაანადგურა ძირითადი მტრული ბუდეები ტროცკისტ-ბუხარინელ და სხვა მავნებელთა, დივერსანტთა, მკვლელთა, უცხოელ დაზვერვათა ჯაშუშებისა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე ჩამოყალიბდა ისტორიაში უმაგალითო მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა საბჭოთა ხალხისა, განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა სტალინური მეგობრობა.

გამარჯვებული სოციალიზმის სტალინურმა კონსტიტუციამ კიდევ უფრო აამაღლა მშრომელთა უძირესად ფართო მასების აქტივობა და შეგნებულობა, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოების ხელისუფლება.

საბჭოთა კავშირი მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო გახდა.

ამ გამარჯვებებამდე ჩვენი ქვეყანა მიიყვანა ჩვენმა ბრძენმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა **(ხანგრძლივი ტაში).**

ბოლშევიკების პარტია, ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი სრული უფლებით და სიამაყით უწოდებს ჩვენს გამარჯვებებს სტალინურ გამარჯვებებს **(მქუხარე ტაში).**

იმ დროს, როდესაც საბჭოების ქვეყანა მტკიცედ და ძლევამოსილად მიდის წინ ეკონომიკისა და კულტურის ახალი აყვავებისაკენ, კაპიტალიზმის ქვეყნებში იზრდება სიღატაკე და უმუშევრობა, სულ უფრო ღრმავდება კაპიტალისტური სისტემის კრიზისი.

ჩვენი ბოლშევიკური ყრილობა სახავს და იხილავს შემდგომი სოციალისტური მშენებლობის დიად გეგმებს, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს მშრომელთა მასების მატერიალური და კულტურული დონე. კაპიტალის ქვეყნებში კი ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მესვეურების ყველა ღონისძიება მიმართულია გამანადგურებელი იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის ატეხისაკენ.

კაპიტალისტურ სახელმწიფოთა ხელმძღვანელნი, იკრიბებიან რა მიუნხენსა და პარიზში, ლონდონსა და რომში, ხლართავენ ახალი დაპყრობითი ომის ქსელს მსოფლიოს განაწილების მიზნით, უთანხმდებიან ერთმანეთს ფაშისტური აგრესიის მორიგი მსხვერპლის თაობაზე, ატყუებენ ერთი-მეორეს და ჰღალატობენ ხალხთა ინტერესებს.

საშინაო და საგარეო წინააღმდეგობებში გახლართული კაპიტალიზმი გამოსავალს ეძებს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებზე შემდგომ შეტევაში, ექსპლუატაციის გაძლიერებასა და ომში.

აი უკვე ორნახევარ წელზე მეტია, რაც იტალია-გერმანიის ფაშისტი ინტერვენტების გაერთიანებული ძალები, ეგრეთწოდებული დემოკრატიული სახელმწიფოების — ინგლისისა და საფრანგეთის მხარდაჭერით, აწამებენ გმირულ ესპანელ ხალხს.

დაახლოებით ორი წელია, რაც იმპერიალისტი მტაცებელი—იაპონია, სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების წაყრუებით, ცდილობს დაიმონოს დიდი ჩინელი ხალხი, წაართვას მას დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ჩინელი ხალხის ბრძოლა იაპონიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მისი ბრძოლა თავისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ჰკუის სასწავლი გაკვეთილი და მრისხანე გაფრთხილება იქნება ყველა იმპერიალისტურ მტაცებელთათვის, რომლებიც თავისი დაპყრობითი მისწრაფებებით არიან თავბრუდახვეულნი და ანგარიშს არ უწევენ ხალხის დიად ძალას.

გმირულ ბრძოლაში ჩინელი ხალხი თავს აღწევს ფეოდალ-მილიტარისტი გენერლების მიერ თავსმოხვეულ წარსულ ნაციონალურ დაქსაქსულობას, ერთიანდება მძლავრ უძლეველ ძალად და გამანადგურებელ ლახვარს სცემს მტერს, ჰფუშავს რა ამით არა მარტო იაპონიის, არამედ მთელი მსოფლიო იმპერიალიზმის გეგმებს.

მთელი საბჭოთა ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა აღტაცება და სიმპატიები თავისუფლებისმოყვარე გმირი ჩინელი ხალხის მხარეზეა.

ბურჟუაზიულ ფაშისტურ მთავრობათა დიპლომატიურ გარიგებებსა და ოინებს უპირდაპირდება მშვიდობიანობის სტალინური პოლიტიკა, რომელსაც მტკიცედ და განუხრელად ატარებს ჩვენი საბჭოთა სახელმწიფო.

სსრ კავშირის სამშვიდობო პოლიტიკა ააშკარავებს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ზრახვებს, ჰფუშავს მათს გეგმებს, იწვევს კა-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.).

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა

ამხანაგებო! საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა აჯამებს სსრ კავშირში სოციალიზმის დიად გამარჯვებათა შედეგებს. ეს გამარჯვებები მოპოვებულია ლენინ-სტალინის პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მიერ იმის მეოხებით, რომ სოციალიზმის აშენებისათვის წარმოებულ ისტორიულ ბრძოლაში მათ ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი — დიდი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალური სიცხადით გადაუშალა ყრილობას გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების წარმტაცი სურათი და გარკვევით, ლენინურად, სტალინურად განსაზღვრა სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები.

თავის ბრწყინვალე მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა გენიალურად დაამუშავა, შემდგომ განავითარა მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ, შეაიარაღა პარტია, შეაიარაღა საბჭოთა ხალხი ახალი თეორიული იარაღით ჩვენდამი მტრული კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამ მოხსენებით ამხანაგმა სტალინმა მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში შეიტანა უძვირფასესი განძი, რომელსაც ახალ საფეხურზე აჰყავს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის უკვდავი, ყოვლისმძლე მოძღვრება.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვებები, რომლებიც ამომწურავად გვიჩვენა ამხანაგმა სტალინმა თავის შესანიშნავ მოხსენებაში, გამოხატულებას პოულობენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების ყველა დეტალებში. სოციალიზმი შევიდა საბჭოთა ადამიანების ყოფაცხოვრებაში.

სოციალიზმის გამარჯვების შედეგად სსრ კავშირი გადაიქცა მძლავრ სახელმწიფოდ, რომელმაც არ იცის კრიზისები, უმუშევრობა, სიღატაკე.

ჩვენი ქვეყანა იქცა პირველხარისხოვანი მრეწველობისა და ყველაზე მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

ბოლშევიკური პარტიისა და ამხანაგ სტალინის განუწყვეტელი მზრუნველობის მეოხებით, განუზომლად გაიზარდა ხალხის მასების კეთილდღეობა. სწრაფად ვითარდება და იზრდება სოციალისტური კულტურა.

სოციალიზმის გამარჯვებათა ნაყოფი. გამარჯვებათა, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ, განსაკუთრებით განსაცვიფრებელია ნაციონალურ რესპუბლიკებში და ოლქებში, ყოფილ ჩამორჩენილ კოლონიებში, რომლებსაც დაუნდობლად სძარცვავდა და ექსპლუატაციას უწევდა ცარიზმი.

მეფის რუსეთის ერთერთი ასეთი კოლონია იყო საქართველო, რომელმაც სტალინური ხუთწლედების წლებში მთლად შეიცვალა სახე.

საქართველოს ბოლშევიკები, ისევე როგორც მთელი ჩვენი დიადი პარტია, XVIII პარტიულ ყრილობას უდიდესი მიღწევებით შეხვდნენ. საქართველო გადაიქცა ინდუსტრიულ-აგრარულ საბჭოთა რესპუბლიკად განვითარებული მრეწველობით, აყვავებული სოფლის მეურნეობითა და მოწინავე სოციალისტური კულტურით. მეორე სტალინური ხუთწლედი საქართველოში ვადაზე ადრე შესრულდა. მან სრულიად შეუცვალა სახე ჩვენს რესპუბლიკას. კაპიტალურ დაბანდებებს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეორე ხუთწლიანი გეგმის მიხედვით უნდა შეედგინათ 2.023 მილიონი მანეთი, ფაქტიურად კი მათ შეადგინეს 2.240,8 მილიონი მანეთი.

ახალ საწარმოთა ამუშავებისა, აგრეთვე ძველ საწარმოთა გაფართოებისა და რეკონსტრუქციის შედეგად, საქართველოს მრეწველობის პროდუქციამ მეორე ხუთწლედის დამლევს — 1937 წელს — შეადგინა 867,8 მილიონი მანეთი, ნაცვლად 1932 წლის 422.8 მილიონი მანეთისა, ე. ი. ხუთი წლის განმავლობაში გადიდდა ორჯერ და უფრო მეტად. საქართველოს სს რესპუბლიკის მსხვილი მრეწველობის ძირითადი ფონდების ღირებულება ამავე პერიოდში გადიდდა 3½-ჯერ.

თუ 1932 წელს საქართველოს მარგანეცის მრეწველობამ მოგვცა 385 ათასი ტონა მარგანეცი, 1937 წელს მარგანეცის წლიურმა ამოღებამ შეადგინა 1.650 ათასი ტონა. ჭიათურის მარგანეცის ბაზაზე აშენდა და მუშაობს ფეროშენადნობთა ქარხანა, საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის პირმშო.

მეორე ხუთწლედში ამუშავდა მძლავრი ელექტროსადგური მდინარე რიონზე. აშენებულია და ამუშავებულია კიროვის სახელობის დიდი დაზგათმშენებელი ქარხანა თბილისში, ლითონის ჩამომსხმელი ქარხანა, ფეხსაცმლის გიგანტური ფაბრიკა, რომელიც წელიწადში იძლევა 4 მილიონ წყვილ ფეხსაცმელს, ტყვარჩელის ქვანახშირის მაღარო, ოცი ჩაის ფაბრიკა, შაქრის ქარხანა და მთელი რიგი სხვა სამრეწველო საწარმოები.

საქართველოში ფართოდ განვითარდა მრეწველობის ისეთი დარგები, როგორიცაა აბრეშუმის, ჩაისა და სხვ. თუ 1932 წელს საქართველომ მოგვცა მხოლოდ 518 ტონა მშრალი გადამუშავებული ჩაი, 1937 წელს ჩვენმა ჩაის ფაბრიკებმა გამოუშვეს 7.300 ტონა ჩაი, ხოლო 1938 წელს —8.000 ტონაზე მეტი.

მტკიცე საფუძვლები ჩაეყარა საბჭოთა საქართველოს მთამადნეულის დაუშრეტელ სიმდიდრეთა გამოყენებას. ჩვენში უკვე სწარმოებს დარიშხანის საბადოების დამუშავება. მოპოვება მოლიბდენისა, რომელიც ხმარდება სპეციალური ფოლადების წარმოებას, მოპოვება ოქროსი, გამოკვლეულია ვოლფრამისა და სხვა იშვიათი ლითონების საბადოები, რომლებიც განსაკუთრებით ძვირფასია კერძოდ ჩვენი თავდაცვითი მრეწველობისათვის.

ეს მცირე მონაცემები თვალსაჩინოდ ცხადჰყოფენ, თუ რა მნიშვნელოვანია ინდუსტრიული ზრდა საბჭოთა საქართველოსი, რომელსაც, თუ არ ჩავთვლით თბილისის რკინიგზის სახელოსნოებს, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე არა ჰქონია არავითარი მრეწველობა, გარდა ნახევრად-კუსტარული საწარმოებისა, და თვით პირველ ხუთწლედამდე რჩებოდა წვრილ-გლეხური, ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის ქვეყნად.

უფრო ფართო პერსპექტივები ისახება საქართველოს მრეწველობის წინაშე მესამე ხუთწლედში, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხუთწლედში.

საქართველოს ბოლშევიკებს ამხანაგმა სტალინმა დაუსახა მეტად საპასუხისმგებლო ამოცანა — უზრუნველჰყონ საქართველოს, მთელი ამიერ-კავკასიის მოთხოვნილება საკუთარი ქვანახშირით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მთელ ძალღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ღირსეულად შეასრულოს ეს დავალება. 1938 წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტმა ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა 104,3 პროცენტით. მეორე ტრესტმა — ტყვარჩელნახშირმა წლიური გეგმა თუმცა არ შეასრულა, მაგრამ თავისი არსებობის მთელი დროის განმავლობაში პირველად გადაჭარბებით შეასრულა მეოთხე კვარტალის გეგმა და განაგრძობს 1939 წლის ყოველთვიური დავალებების შესრულებას.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოჰკიდა ხელი ქვანახშირის ამოღების გადიდების შესახებ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილების შესრულებას. მან ამოცანად დაისახა 1942 წლისათვის, მესამე ხუთწლედის დამლევისათვის, ქვანახშირის ამოღება აიყვანოს 2.200.000 ტონამდე.

ქვანახშირის ამოღების ასეთ გადიდებას გვიკარნახებს არა მარტო აუცილებლობა დავაკმაყოფილოთ რესპუბლიკის მეურნეობის მოთხოვნილება სათბობზე, გადავიყვანოთ იგი შორიდან მოტანილი ქვანახშირიდან ადგილობრივ ქვანახშირზე, არამედ ის გარემოებაც, რომ მესამე ხუთწლედში საქართველოში იქმნება აზოტოვანი სასუქების მწარმოებელი მსხვილი კომბინატი, რომლის ძირითადი ნედლეულიც უნდა იყოს ტყიბულის ქვანახშირი.

საქართველოს არასოდეს არ ჰქონია ნავთის მრეწველობა. პირველი და მეორე ხუთწლედების წლებში გეოლოგიურმა გამოკვლევამ საქართველოს რაიონებში საბოლოოდ გამოარკვია, რომ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი ნავთობიანი ფართობები. უკვე სწარმოებს ნავთის ამოღება წითელ-წყაროს რაიონში. ნავთი აღმოჩენილია თბილისის მახლობლად ნორიოში და შავი ზღვის პირას სუფსაში. პირველმავე საკონტროლო ჭაბურღილებმა ამ ადგილებში ცხადჰყვეს, რომ აქ მიწის წიაღში უხვად არის ნავთი.

ჩვენ ზომებს ვიღებთ იმისათვის, რომ უფრო ფართოდ გავშალოთ ნავთის ძიება, დავაჩქაროთ საექსპლოატაციო ბურღვა გამოკვლეულ ფართობებზე და მესამე ხუთწლედში მივცეთ ქვეყანას სამრეწველო ნავთი.

ნავთის მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფისათვის ჩვენ უნდა მოვამზადოთ ნავთის მრეწველობის ყველა კვალიფიკაციის მუშაკთა ახალი კადრები, დაწყებული მუშებით და დამთავრებული ინჟინრებით. ამ მხრივ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ დიდი, სერიოზული მუშაობა უნდა ჩაატაროს.

იმ უდიდესი დახმარებით, რომელსაც გვიწევს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც გვიწევს ჩვენი საკავშირო მთავრობა და პირადად ამხანაგი მოლოტოვი, იმ დახმარებით, რომელსაც გვიწევს სსრ კავშირის სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარი ამხანაგი კაგანოვიჩი, ქვანახშირის ამოღების გადიდებისა და ნავთის მრეწველობის შექმნის ამოცანას საქართველოს ბოლშევიკები აუცილებლად შეასრულებენ.

საქართველოში დიდად განვითარდა კვების მრეწველობა, რომელიც ჩვენში წინათ თითქმის არ იყო. 1937 წელს კვების მრეწველობის საწარმოთა პროდუქციამ შეადგინა უკვე 188.6 მილიონი მანეთი. მესამე ხუთწლედში კვების საწარმოთა პროდუქციის ზრდა დასახულია 82.4 პროცენტით 1937 წელთან შედარებით. ყველაზე დიდი ზრდა უნდა მოგვცეს ჩაის მრეწველობის პროდუქციამ. თუ 1938 წელს საქართველოს ჩაის ფაბრიკებმა მოგვცეს 8.200 ტონა ჩაი, 1942 წელს მათ უნდა გამოუშვან 20.000 ტონაზე მეტი ბაიხის ჩაი, ხოლო „აგურის" ჩაის გამოშვება, რომელიც 1937 წელს 655 ტონას შეადგენდა, 1942 წელს უნდა ავიდეს 4 ათას ტონამდე. ამგვარად, ჩაის მრეწველობის საერთო ზრდამ მესამე ხუთწლედში უნდა შეადგინოს 172 პროცენტი.

ჩაის მრეწველობის პროდუქციის ზრდის შესაბამისად, რაც გეგმით არის გათვალისწინებული, დაპროექტებულია საქართველოს ჩაის ფაბრიკების საერთო სიმძლავრის გადიდება. მესამე ხუთწლედში უნდა აშენდეს ჩაის 12 ახალი ფაბრიკა და ერთი ჩაის საწნეხი ფაბრიკა „აგურის" ჩაის გამოსამუშავებლად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოში გაიშალა მუშაობა შამპანური ღვინოების წარმოებისათვის. კლიმატური პირობების მეოხებით საქართველოში კარგად ხარობს შამპანური ჯიშის ყურძენი. ყურძნის ზოგიერთი ადგილობრივი ჯიშები აგრეთვე იძლევიან საუცხოო მასალას შამპანური ღვინოების დასამზადებლად. თბილისში მალე ამუშავდება შამპანური ღვინოების დიდი კომბინატი, რომელმაც ყოველწლიურად უნდა მოგვცეს 4 მილიონი ბოთლი შამპანური. უკვე ჩაწყობილია ერთი მილიონი ბოთლი სპეციალური ღვინო შამპანურის დასამზადებლად.

შამპანურის დამზადებასთან ერთად, საქართველო ყოველწლიურად გაადიდებს სუფრის ღვინოების გამოშვებას, რომლებიც საუკეთესოდ ითვლებიან საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველაზე მტკივნეულ ადგილს წარმოადგენს მისი ენერგეტიკული ბაზის ერთგვარი ჩამორჩენა. 1937 წელს საქართველოს ელექტროსადგურებმა გამოიმუშავეს სულ 413.5 მილიონი კილოვატ-საათი, მაშინ როდესაც ელექტროენერგიის მინიმალური მოთხოვნილება შეადგენს 541 მილიონ კილოვატ-საათს, ე. ი. მათ ვერ შესძლეს ჩვენი მრეწველობის მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილება.

მესამე ხუთწლედში მნიშვნელოვნად იზრდება მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე. 1942 წლისათვის ეს მოთხოვნილება შეადგენს 1500 მილიონ კილოვატ-საათს. ელექტროსადგურები, რომლებიც საქართველოში შენდება, მესამე ხუთწლედში მათი აუცილებლად დამთავრების შემთხვევაშიც კი ვერ დააკმაყოფილებენ ელექტროენერგიის მოხმარების ასეთ დიდ ზრდას.

ამავე დროს საქართველოს მთის მდინარეები შეიცავენ ენერგიის დაუშრეტელ მარაგს. ჩვენ ვთხოვთ ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, ჩვენს საბჭოთა მთავრობას გაითვალისწინონ საქართველოს სახალხო მეურნეობის ენერგეტიკული ბაზის სერიოზული ჩამორჩენილობა და დაგვეხმარონ გამოვასწოროთ მდგომარეობა მესამე ხუთწლედში.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამხანაგ სტალინის უშუალო მითითებათა შესაბამისად საქართველოს სოფლის მეურნეობა ვითარდება იმ მდიდარ ბუნებრივ შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენების საფუძველზე, რომლებსაც შეიცავს ჩვენი რესპუბლიკის კლიმატური და ნიადაგობრივი თავისებურებანი. ეს თავისებურებანი შესაძლებლობას გვაძლევენ დავნერგოთ ისეთი ძვირფასი, მთელი საბჭოთა კავშირისათვის საჭირო კულტურები, როგორიცაა ჩაი, ციტრუსები, ტუნგო, ეთეროვან-ზეთოვანი მცენარეები, კეთილშობილი დაფნა, თამბაქო, ყურძენი, სუბტროპიკული ხილი. ამ კულტურების დანერგვა უდიდეს როლს შეასრულებს კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისა და კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდის საქმეში.

მოვიყვან რამდენიმე ცნობას, რომლებიც ახასიათებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობისა და კოლმეურნეთა მასების შეძლებულობის ზრდას.

1939 წლის 1 იანვრისათვის ჩაის პლანტაციების ფართობი შეადგენდა 45 ათას ჰექტარს, 1932 წელს კი ჩვენ გვქონდა მხოლოდ 25 ათასი ჰექტარი ჩაი. ჩაის პლანტაციების მთელი ფართობის 96.8 პროცენტი ეკუთვნით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

ჩაის პლანტაციების გაფართოებასთან ერთად ყოველწლიურად იზრდება ჩაის ბუჩქის მოსავლიანობა. თუ 1932 წელს სრულმოსავლიანი პლანტაციის ერთი ჰექტარი საშუალო მოსავალი შეადგენდა 701 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, 1938 წელს ჩვენ ერთ ჰექტარზე საშუალოდ მოვკრიფეთ უკვე 2185 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. ამასთან არიან კოლმეურნეობები, რომლებიც ცალკეულ ნაკვეთებზე ჰექტარზე ჰკრეფენ 5.7 და თვით 10 ათას კილოგრამ ჩაის ფოთოლს. წლითიწლობით ფართოვდება ციტრუსების პლანტაციები.

1933 წელს ციტრუსებს ეჭირათ 2.000 ჰექტარი, ხოლო 1939 წლის 1 იანვრისათვის ციტრუსების ფართობმა 10.000 ჰექტარზე მეტი შეადგინა. თუ 1932 წელს საქართველოში დამზადებულ იქნა 11 მილიონი ცალი ციტრუსების ნაყოფი, 1937 წელს ჩვენ დავამზადეთ 300 მილიონი ცალი. ძლიერმა გვალვამ 1938 წელს მნიშვნელოვნად შეამცირა ციტრუსების მოსავალი. მიუხედავად ამ არახელსაყრელი პირობებისა, 1938 წელს ჩვენ მაინც დავამზადეთ 250 მილიონზე მეტი ციტრუსების ნაყოფი — მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტუნგოს კულტურის შემდგომ განვითარებას. ტუნგოს ზეთისაგან მზადდება ლაქი, რომელიც ლითონს იცავს ჟანგისაგან. ტუნგოს ზეთს ფართოდ ხმარობენ სსრ კავშირის ელექტრო-ტექნიკურ და საავიაციო მრეწველობაში. 1939 წლის 1 იანვრისათვის ტუნგოს ნარგავების ფართობი შეადგენდა 12 ათას ჰექტარს, მაშინ როდესაც 1932 წელს ჩვენ გვქონდა მხოლოდ ერთი ჰექტარი ტუნგოს ნარგავი.

ტუნგოს კულტურის განვითარება გვანთავისუფლებს უცხოეთიდან ტუნგოს ძვირად ღირებული ზეთის შემოტანის აუცილებლობისაგან, ამასთან ერთად იგი უდიდეს შემოსავალს აძლევს ჩვენს კოლმეურნეობებს.

უკანასკნელ წლებში საქართველოში ფართოდ გავრცელდა ევკალიპტის კულტურა. ამ სწრაფად მზარდ ხეს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგის ამოშრობისა და მალარიით დაავადებული ადგილების გაჯანსაღების საქმეში. ევკალიპტის ფოთლების სუნს შორს გაურბის მალარიის კოღო. ევკალიპტის ფოთლებისაგან მზადდება სხვადასხვა ზეთები, რომლებსაც ფართოდ იყენებენ მედიცინაში და საპარფიუმერო მრეწველობაში.

1939 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში იყო 4,5 მილიონი ევკალიპტის ხე. 1939 წლის გეგმის მიხედვით ჩვენ უნდა დავრგოთ 3,5 მილიონი ხე, ხოლო 1942 წელს ჩვენ გვექნება 16 მილიონი ევკალიპტის ხე.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის განვითარებასთან მჭიდროდ დაკავშირებულია კოლხიდის ჭაობების ამოშრობის პრობლემა. კოლხიდის ჭაობებს 220.000 ჰექტარზე მეტი ფართობი უჭირავთ. კოლხიდის დაბლობის საუკუნოვანი ჭაობების ამოშრობისათვის ჩვენ მიერ გაშლილი გრანდიოზული სამუშაოები ანთავისუფლებენ ნაყოფიერი მიწის ახალ დიდ სივრცეებს ციტრუსოვანი და სხვა სუბტროპიკული მცენარეების გასაშენებლად. კოლხიდა, რომელიც წარსულში მალარიის კერას წარმოადგენდა, ხდება სუბტროპიკების აყვავებულ ბაღნარად.

ამხანაგ სტალინის პირადი მითითებებით კოლხიდის ამოშრობის სამუშაოები ამჟამად ძირითადად თავმოყრილია ქალაქ ფოთის გარშემო. ლიკვიდირებულია სამუშაოთა ფრონტის წინანდელი დაქსაქსულობა, რომელსაც იყენებდნენ მავნებლები თავისი საზიზღარი, კონტრრევოლუციური მიზნებისათვის.

ამჟამად მდინარეების ნაპირების გამაგრების შედეგად წყლით პერიოდული დაფარვისაგან დაცულია 7 ათასამდე გლეხური მეურნეობა, ამოშრობის სამუშაოები ჩატარებულია 17 ათას ჰექტარზე. ამოშრობილ მიწებზე დასახლდა რამდენიმე ასეული გლეხური მეურნეობა და ჩამოყალიბდა პირველი კოლმეურნეობები. უკვე გაშენებულია სუბტროპიკული კულტურების პირველი პლანტაციები, რომლებსაც უკავიათ 1800 ჰექტარი.

მესამე ხუთწლედის დამლევისათვის ამოშრობილი მიწების ფართობი კოლხიდაში მიაღწევს 44.000 ჰექტარს. ამ ფართობის თითქმის ნახევარს დაიკავებენ მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურები.

1936 წელს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში მევენახეობის განვითარების შესახებ. ამ გადაწყვეტილების შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა ვენახების განვითარებისათვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს კოლმეურნეობებში გაშენებულია 5.000 ჰექტარზე მეტი ვენახი. 1939 წელს გაშენდება 3.600 ჰექტარი, ამასთან გაშენებული ვენახების მნიშვნელოვან ნაწილს შამპანური ჯიშები შეადგენენ. მესამე ხუთწლედის ბოლოსათვის ვენახების მთელი ფართობი მიაღწევს 60.000 ჰექტარს. ახლა კი ჩვენ გვაქვს 40.000 ჰექტარი.

სპეციალური და ტექნიკური კულტურების განვითარებამ გამოიწვია კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის დიდი ზრდა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ამაღლება. რესპუბლიკაში ითვლება ათობით კოლმეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად მილიონ მანეთზე მეტ შემოსავალს იღებენ. ბევრია ისეთი კოლმეურნე, რომლებიც შრომადღეებზე იღებენ 5 ათასიდან 20 ათას მანეთამდე, გარდა მარცვლეულისა და სხვა პროდუქტებისა.

მოვიყვან ორ-სამ მაგალითს. კოლმეურნე ვლადიმერ ჩემიამ სოხუმის რაიონის სოფელ ბაბუშერიდან 1938 წელს პირადად გამოიმუშავა 520 შრომადღე, ხოლო ოჯახთან ერთად—1880 შრომადღე და კოლმეურნეობიდან მიიღო 2260 კილოგრამი მარცვლეული და 15.000 მანეთზე მეტი ფულად. კოლმეურნე ქალმა ქიონია სარსანიამ ზუგდიდის რაიონის ინგირის კოლმეურნეობიდან, რომელმაც ერთ ჰექტარ პლანტაციაზე მოჰკრიფა 10.000 კილოგრამზე მეტი ჩაის ფოთოლი, შრომადღეებზე მიიღო 15 000 მანეთი ფულად და 60 ფუთი მარცვლეული. კოლმეურნე მ. დევაძემ (ქობულეთის რაიონი) მიიღო 20.000 მანეთზე მეტი შემოსავალი. იმავე რაიონის კოლმეურნე გარჯილაძემ —23.000 მანეთი და სხვ.

ასეთი მაგალითები ჩვენში იშვიათი როდია.

მესამე სტალინური ხუთწლედი არის ხუთწლედი საქართველოს სოციალისტური სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისა, კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცებისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდისა სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების მტკიცედ დაცვის საფუძველზე.

მესამე ხუთწლედის ბოლოს, 1942 წელს, ციტრუსოვანი ნარგავების ფართობი იქნება თითქმის 24.000 ჰექტარი, ჩაის ფართობი მიაღწევს 55.000 ჰექტარს. მნიშვნელოვნად გაფართოვდება ისეთი კულტურების ფართობები, როგორიცაა გერანი, არაპისი და სხვ., რომლებიც კოლ-

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

ამხ. ლ. პ. ბერიას სიტყვა

დასასრული

კაპიტალისტური ქვეყნების გაბატონებული კლასების გაცოფებულ გაბოროტებასა და სიძულვილს საბჭოთა კავშირისადმი. საბჭოთა სახელმწიფოს ძალა და ძლიერება ამსხვრევს მტრების პროვოკაციას.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადარაჯოზე სდგანან უძლეველი მუშურ-გლეხური წითელი არმია, წითელი სამხედრო საზღვაო ფლოტი, ჩვენი სახელოვანი ავიაცია, ჩვენი საბჭოთა დაზვერვა **(ხანგრძლივი ტაში).**

ხასანის გაკვეთილები უნდა ახსოვდეთ არა მარტო იაპონელ გენერლებს, არამედ ყველა აგრესორს ეგრეთწოდებული ანტიკომინტერნული ბლოკიდან.

ამხანაგებო, დიდია ჩვენი გამარჯვებანი სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. მაგრამ არანაკლებ დიდია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები.

ამხანაგ სტალინის მიერ ჩვენი პარტიისა და ჩვენი ქვეყნის წინაშე დასმული მსოფლიო-ისტორიული ამოცანების შესრულება — უახლოეს 10-15 წლის განმავლობაში ეკონომიური მხრივაც დავეწიოთ და გავუსწროთ ევროპისა და ამერიკის მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს—ჩვენგან მოითხოვს არა მარტო ჩვენი ძალებისა და ცოდნის მობილიზაციას, არამედ იმ შეცდომათა და ნაკლოვანებათა მხედველობაში მიღებასა და გასწორებას, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ჩვენს მუშაობაში.

ცნობილია, რომ ცოტა ზიანი როდი მოგვაყენეს ჩვენს პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში შეპარულმა ხალხის მტრებმა, ტროცკისტ-ბუხარინელმა მავნებლებმა, დივერსანტებმა, უცხოელ დაზვერვათა ჯაშუშებმა. მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ გარღვევები, რომელთაც ადგილი ჰქონდა ჩვენი სახალხო მეურნეობის მთელ რიგ რგოლებში, აგვეხსნა მხოლოდ მტრების ძირგამომთხრელი მუშაობით. ეს გარღვევები რამდენადმე უნდა მივაწეროთ ჩვენი მთელი რიგი იმ საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების ცუდ, უხეირო მუშაობას, რომლებმაც ჯერ კიდევ არასაკმაოდ შეითვისეს ბოლშევიკური ხელმძღვანელობის სტილი.

ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ პარტიის XVII ყრილობაზე, აკრიტიკებდა რა ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მუშაობას, ამბობდა:

„სწყვეტენ საკითხებს, მაგრამ არ ჰფიქრობენ იმაზე, რომ შეამოწმონ შესრულება, მოუწოდონ წესრიგისაკენ ხელმძღვანელი ორგანოების მითითებათა და განკარგულებათა დამრღვევთ, წინ წასწიონ პატიოსანი და კეთილსინდისიერი აღმსრულებლები".

საკითხების კონკრეტული ოპერატიული გადაჭრის ნაცვლად, ზოგიერთი ჩვენი სამეურნეო სახალხო კომისარიატი და განსაკუთრებით კი მათი მთავარი სამმართველოები იწვევენ ყოველგვარ თათბირებს, რაც ხშირად არც კი არის აუცილებლობით გამოწვეული, და ამ თათბირებზე ხშირად იწვევენ დიდძალ მუშაკებს პერიფერიიდან. საკითხებს თათბირებისათვის ცუდად ამზადებენ, თვით თათბირებს აჭიანურებენ და გამოწვეულ ამხანაგებს მთელი დღეობითა და კვირაობით უხდებათ მოსკოვში ყოფნა. თათბირების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების შესრულებას კონტროლს არავინ უწევს. მთელ რიგ შემთხვევებში ისინი მთელი თვეობით სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან რჩებიან და დავიწყებას ეძლევიან. ზოგიერთი სახალხო კომისარიატი კოლოსალური რაოდენობის ბრძანებებსა და განკარგულებებს იძლევა. მაგრამ ამ ბრძანებათა და განკარგულებათა შესრულების ნამდვილ კონტროლს არ აწყობენ. ამიტომ იშვიათი როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე საკითხზე ხდება მთელი რიგი ერთი და იმავე შინაარსისა და ზოგჯერ თვით ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებათა გამოცემა. მაგალითად, სსრ კავშირის მიწსახკომმა 1938 წლის განმავლობაში გამოსცა 1.500 ბრძანება და განკარგულება, იმ ბრძანებათა ჩაუთვლელად, რომელნიც დანიშვნებსა და გადაჯგუფებებს ეხება, ხოლო წყალთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა 900 ბრძანება.

სამეურნეო სახალხო კომისარიატების ზოგიერთი ხელმძღვანელისა და მათი მთავარსამმართველოების ასეთი, მე ვიტყოდი, უპასუხისმგებლო მოპყრობის გამო თავისავე საკუთარი ბრძანებებისა და განკარგულებებისადმი, ეს დოკუმენტები ჰკარგავენ თავის ძალას და ავტორიტეტს, მათ დაუსჯელად არღვევენ და გვერდს უვლიან.

ყოველივე ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ეს ამხანაგები არასაკმაოდ სწავლობენ და უკვირდებიან მათდამი დაკისრებულ საქმეს, ისინი ცუდად იცნობენ კადრებს და სუსტად არიან დაკავშირებულნი ადგილებთან.

ჩვენ უნდა გამოვიტანოთ ყველა საჭირო დასკვნა იქიდან, რასაც ამხანაგი სტალინი ლაპარაკობდა თავის მოხსენებაში ჩვენს ყრილობაზე დაკისრებული საქმის კეთილსინდისიერი შესწავლის შესახებ, კადრების შესწავლისა და სწორად განაწილების შესახებ, შემოწმებული, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთგული ახალგაზრდა მუშაკების გაბედული დაწინაურების შესახებ, ხელმძღვანელობაში ოპერატიულობისა და კონკრეტულობის შესახებ, ადგილებთან ხელმძღვანელობის ცოცხალი კავშირისა და დაახლოების შესახებ.

მესამე სტალინური ხუთწლედის დიად გეგმათა განსახორციელებლად ჩვენს ქვეყანაში არსებობს ყველა პირობა, მაგრამ ჩვენ მტკიცედ უნდა გვახსოვდეს ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი იმის შესახებ, რომ „გამარჯვება არასოდეს არ მოდის თვითონ,—მას ჩვეულებრივ მოათრევენ ხოლმე". „... საქმის წარმატება დამოკიდებულია საორგანიზაციო მუშაობაზე, ბრძოლის ორგანიზაციაზე პარტიის ხაზის ცხოვრებაში გატარებისათვის, ადამიანების სწორად შერჩევაზე, ხელმძღვანელ ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაზე".

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ამხ. მოლოტოვის მოხსენების თეზისების წინასაყრილობო განხილვამ დაგვანახვა, რომ საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონა ჩვენი პარტიის სტალინური ხაზი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებაზე, რომ იგი მზად არის იბრძოლოს დასახული გეგმების განხორციელებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში გენიალურად დაასაბუთა საბჭოთა სახელმწიფოს სულ უფრო მზარდი როლი კომუნიზმის მშენებლობის შემდგომი გრანდიოზული გეგმების განხორციელების საქმეში, კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფი ჩვენი ქვეყნის სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ამხანაგ სტალინის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მან არა მარტო დაიცვა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება სახელმწიფოს შესახებ ლენინიზმის უბოროტეს მტრებთან—ტროცკისტ-ბუხარინელ გამცემლებთან ბრძოლაში, არამედ შემდგომაც განავითარა იგი კაპიტალისტურ გარემოცვაში მყოფ ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილი სოციალისტური მშენებლობის ახალ ისტორიულ პირობებში.

საზიზღარი ბუხარინელები, რომელნიც გამოდიოდნენ თვითდინების კონტრრევოლუციური თეორიით და სჩქმალავდნენ საბჭოთა სახელმწიფოს გადამწყვეტ, მაორგანიზებელ როლს. და ყველა ჯურის „მემარცხენეები" მუშათა კლასის სახელმწიფოს როლის თანდათანობითი შესუსტებით მისი კვდომის მთელი ანტილენინური თეორიით — ემსახურებოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს შესუსტების საშუალებით ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრაციის ერთსა და იმავე კონტრრევოლუციურ მიზნებს.

მიმართა რა განმანადგურებელი ლახვარი ხალხის მტრების წინააღმდეგ, ამხანაგმა სტალინმა ამხილა და დაამსხვრია მტრის დებულებანი საბჭოთა სახელმწიფოს საკითხში და გენიალური გამჭრიახობით დასახა ამოცანები პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცების საქმეში.

„პროლეტარიატის მაგარი და ძლიერი დიქტატურა, — ამბობდა ამხანაგი სტალინი ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წლის იანვარში, — აი რა გვჭირდება ახლა იმისათვის. რომ გავაცამტვეროთ მომაკვდავი კლასების უკანასკნელი ნაშთები და მოვსპოთ მათი ქურდული მახინაციები.

... სახელმწიფოს კვდომას მოგვიტანს არა სახელმწიფო ძალაუფლების შესუსტება, არამედ მისი მაქსიმალური გაძლიერება, რაც საჭიროა იმისათვის, რომ ბოლომდე გავანადგუროთ მომაკვდავი კლასების ნაშთები და მოვაწყოთ თავდაცვა კაპიტალისტური გარემოცვის წინააღმდეგ, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მოსპობილი და არც მალე მოისპობა".

ჩვენ ერთი წუთითაც კი არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებანი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცების შესახებ. საბჭოთა სახელმწიფოებრივი აპარატის ყველა რგოლის განმტკიცება შემოწმებული, მტკიცე კადრებით, ხალხის ჯერ კიდევ გამოუმჟღავნებელი და მიმალული მტრების განდევნა ამ რგოლებიდან პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანას წარმოადგენს.

ამხანაგმა სტალინმა თავის მოხსენებაში ხაზგასმით აღნიშნა რომ ჩვენი სახელმწიფოს სისტემაში საკმაოდ დიდი როლი ეკუთვნის ჩვენს საბჭოთა დაზვერვას

საბჭოთა დაზვერვა შექმნილი იყო ლენინისა და სტალინის ინიციატივით, იგი ძლიერდებოდა და ვითარდებოდა ბოლშევიკების პარტიის, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით.

კომუნიზმის გზით ჩვენი ქვეყნის შემდგომ ძლევამოსილ წინსვლაში შინსახკომის ორგანოებს მეტად პასუხსაგები ამოცანები ეკისრებათ. რადგან ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს და ვითარდება მტრულ კაპიტალისტურ სახელმწიფოთა გარემოცვაში, რომელნიც ჩვენში ჰგზავნიან ჯაშუშებს, დივერსანტებსა და მკვლელებს ხალხის საძაგელი მტრები მომავალშიც კიდევ უფრო მეტი გააფთრებით შეეცდებიან ზიანი მოგვაყენონ. საქმე გაგვიფუჭონ და ხელი შეგვიშალონ კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებაში.

პარტიისა და ხალხის ყურადღებით და ზრუნვით გარემოცული, ჩვენი პარტიის, საკ. კ. პ. (ბ) სტალინური ცენტრალური კომიტეტის, მშობლიური საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის უსაზღვროდ ერთგული შინსახკომის მუშაკები, გასწმენდენ რა თავის რიგებს მათში შეპარული მტრული ელემენტებისაგან და განამტკიცებენ რა თავიანთ რიგებს შემოწმებული კადრებით, უზრუნველჰყოფენ ხალხის ყველა მტრის მხილებას, განადგურებისა და აღმოფხვრას **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენი უძლეველი კომუნისტური პარტია ბოლშევიკებისა, რომელსაც ხელმძღვანელობს ბრძენი ბელადი — დიდი სტალინი, არის სოციალიზმის გამარჯვების ორგანიზატორი ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი პარტიის ცხოვრებაში, მის ზრდასა და განმტკიცებაში როგორც სარკეში. ისე არის ასახული ყველა მიღწეული გამარჯვებანი, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი ყველა ცვლილებანი.

ამხანაგმა სტალინმა განგვიმარტა ჩვენ იმ ცვლილებათა მნიშვნელობა. რომელნიც შეტანილ უნდა იქნან საკ. კ. პ. (ბ) წესდებაში და რომელნიც გამომდინარეობენ იმ ფაქტიდან, რომ შეიცვალა ჩვენი საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა, ექსპლუატატორულ კლასთა ლიკვიდაციის საფუძველზე, იმ ფაქტიდან, რომ მოხდა მორალურ-პოლიტიკური გაერთიანება საბჭოთა ხალხისა, რომელიც შესდგება ერთმანეთისადმი მეგობრულად განწყობილი მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციისაგან, რომელნიც ერთნაირად ერთგულნი არიან კომუნიზმის საქმისა გაჟღენთილი არიან საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით და უსაზღვროდ ერთგულნი არიან თავისი სოციალისტური სამშობლოსი.

ჩვენს ყრილობაზე ამხანაგ სტალინის მოხსენება, რომელმაც გენიალურად გააშუქა საერთაშორისო პოლიტიკის საკითხები და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვების გზები, კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში საბჭოთა სახელმწიფოს შემდგომი განვითარების განმტკიცების საკითხები და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების, საბჭოთა ინტელიგენციის კადრების გამოზრდის სწორად განაწილებისა და კომუნისტური აღზრდის მეთოდები,—წარმოადგენს უდიდეს განძს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეურ საუნჯეში, მთელი ჩვენი პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის მოქმედების პროგრამას **(მქუხარე ტაში).**

ასრულებს რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, ჩვენი პარტია მომავალშიც განამტკიცებს თავის განუყრელ კავშირს მშრომელთა უფართოეს მასებთან, საბჭოთა კავშირის ხალხები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ლენინ-სტალინის დროშის გარშემო, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებენ სტალინურ მეგობრობას. რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველს წარმოადგენს.

დეე იცოდნენ მტრებმა, რომ ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირი მიუვალია. რომ უძლეველია და დღითიდღე ძლიერდება და ვითარდება სტალინური ზრუნვით გარემოცული ჩვენი გმირული მუშურ-გლეხური წითელი არმია, უძლეველია ჩვენი ხალხი, რომელიც თავის არმიასთან ერთად შეადგენს ერთიან. განუყოფელ და მრისხანე ძალას, რომელიც მზად არის გაანადგუროს და მოსპოს ყოველი მტერი, რომელიც გაჰბედავს ხელჰყოს საბჭოთა ხალხის ბედნიერება და თავისუფლება, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს წმინდა საზღვრები.

ამხანაგ სტალინის ისტორიულ მითითებებსა და საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებს განახორციელებს ჩვენი პარტია, რომელიც გამოზრდილია ლენინისა და სტალინის მიერ და გამობრძმედილია სოციალიზმისათვის ბრძოლებში. ჩვენი ხალხი, რომელიც მჭიდროდ არის დარაზმული ბოლშევიკების პარტიის გარშემო, რადგან ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავს კაცობრიობის უდიდეს გენიოსს—ჩვენს **სტალინს! (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა დაზვერვას, „ვაშა!").**

ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სიტყვა

დასასრული

მეურნეებს მეტად დიდ შემოსავალს აძლევენ.

მესამე ხუთწლედის ბოლოს ჩვენ მივცემთ ქვეყანას ციტრუსების 850-900 მილიონ ცალ ნაყოფს, მათ შორის ლიმონს 50 მილიონ ცალზე მეტს. 1942 წელს ჩვენ მოვკრეფავთ 70 ათას ტონაზე მეტ ჩაის მწვანე ფოთოლს, 18.000 ტონაზე მეტ თამბაქოს, 200.000 ტონაზე მეტ ყურძენს, მაშინ როდესაც 1938 წელს ჩვენ მოვკრიფეთ 130.000 ტონა ყურძენი.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სირთულე ავალებს ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას ყოველთვის დიდი ყურადღება დაუთმოს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას, ყოველდღიურად სწვდებოდეს სოფლის მეურნეობის ყველა წვრილმანს.

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ იმას, რომ თვითეული წელი სუბტროპიკული და სხვა სპეციალური კულტურებისათვის იყოს მოსავლიანი წელი, ვინაიდან, როგორც არაერთხელ მიუთითებდა საქართველოს ბოლშევიკებს ამხანაგი სტალინი, ამ კულტურების მოსავალი ყველაზე ნაკლებად დამოკიდებულია ამინდზე და ყველაზე მეტად დამუშავებაზე, ნარგავების სწორ მოვლაზე.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ხელმძღვანელობის საკითხებზე ყოველდღიური კონკრეტული მუშაობით, საკოლმეურნეო სოფლის კულტურის ამაღლებით, კოლმეურნეთა შორის მასობრივი პოლიტიკური მუშაობის ფართოდ მოწყობით, საქართველოს პარტიული ორგანიზაცია შეასრულებს მის წინაშე დასახულ ამოცანებს და ღირსეულად გაამართლებს დიდი სტალინის მზრუნველობას საბჭოთა სუბტროპიკებზე.

საქართველოს სამეურნეო გარდაქმნას მოსდევს კულტურის სწრაფი ზრდა. საქართველო იქცა წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის რესპუბლიკად. საქართველოს დაწყებითს და საშუალო სკოლებში ამჟამად სწავლობს 700 ათასზე მეტი მოსწავლე. ამ სკოლების მოსწავლეთა კონტინგენტი 1914 წელთან შედარებით გაიზარდა 373 პროცენტით. რევოლუციამდე საქართველოში არ იყო არცერთი უმაღლესი სასწავლებელი. დღეისათვის ჩვენ გვაქვს 18 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 22.000 სტუდენტი.

1933 წლიდან 1938 წლამდე საქართველოს უმაღლესმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 15.000-მდე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი: ინჟინერი, აგრონომი, ექიმი. უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულთა შორის 5.000 პედაგოგია.

ამ ციფრების მნიშვნელობა უფრო გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მოსახლეობა ითვლის 3,5 მილიონ კაცს.

საქართველოს საბჭოთა ლიტერატურა, საბჭოთა თეატრი, ფერწერა და ხელოვნების სხვა სახეები განიცდიან თავის ნამდვილ აყვავებას. ქართველი ხალხის საბჭოთა ხელოვნების მიღწევებს ფართოდ იცნობენ მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის მშრომელები.

სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს ის შავბნელი დრო, როდესაც ქართველი ხალხის მაღალი, მრავალსაუკუნოვანი კულტურა სასტიკ დევნასა და დამცირებას განიცდიდა.

„ქართულ თეატრზე,—სწერდა თავის დროს კავკასიის მეფის ნაცვლის განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე გრაფი სოლოგუბი,—ლაპარაკიც კი არაა ღირს, და დასანანებელია მის შესახებ თუნდაც ერთი გროშის დახარჯვა იმ თანხიდან, რომელიც გამოყოფილია თეატრის დასამარებლად. დასის პირადი შემადგენლობა შეკრებილია ველურებიდან..) ქართული თეატრი შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ ხელისუფალნი ინებებენ იმოქმედონ უბრალო ხალხზე ნაციონალური ტრიბუნის საშუალებით. ასეთი ვარაუდის დროს საკითხი იცვლება და იღებს მაღალი საპოლიციო ღონისძიების სახეს".

ეს უვიცი მოხელე დაცინვით წინადადებას იძლეოდა თეატრის მაგიერ დაეარსებინათ ბალაგანი. „ყოველ შემთხვევაში,—განაგრძობდა იგი,—ამ დაწესებულების სარგებლობა უდავოა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მისი მართვა დაევალება არა ქართველ ავტორს, არამედ განათლებულ ადამიანს".

ასეთი იყო მეფის სატრაპების „ზრუნვა" ქართულ კულტურაზე ასე იქცეოდა მეფის თვითმპყრობელობა ათეულობით ხალხებს, რომლებიც ამჟამად ცხოვრობენ საბჭოთა კავშირში.

ამ წესწყობილებიდან ახლა ჩვენ დაგვრჩა მხოლოდ საარქივო დოკუმენტები. სსრ კავშირის ბედნიერი ხალხები თავიანთ თავისუფლებას, თავიანთ სამეურნეო და კულტურულ აყვავებას უნდა უმადლოდნენ ბოლშევიკების პარტიის ბრძნულ ლენინურ-სტალინურ ნაციონალურ პოლიტიკას. სსრ კავშირის ხალხები უზომოდ მადლობელი არიან დიდი რუსი ხალხისა, რომელმაც სსრ კავშირის ყველა ხალხებთან ერთად, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, გენიალური ბელადების ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით ძირფესვიანად დაანგრია მემამულურ-ბურჟუაზიული წყობილება და სამუდამოდ მოსპო სამარცხვინო ნაციონალური ჩაგვრა.

სსრ კავშირის თავისუფალ ხალხთა ძმური სტალინური მეგობრობა—სოციალიზმის ერთერთი უდიდესი მონაპოვარი — წარმოადგენს ჩვენი უძლეველობის მტკიცე გარანტიას. ამ მეგობრობის ძალას ვერ გაუძლებს ვერავითარი მტერი.

ამხანაგებო, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ, როგორც მთელმა ჩვენმა პარტიამ, გამოამჟღავნა და დაუნდობლად გაანადგურა ჯაშუშების, დივერსანტების, მკვლელების ტროცკისტულ-ბუხარინული და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდა. ამ მუშაობის შედეგად საქართველოს ბოლშევიკებმა უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავისი რიგები სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მშობლიური, საყვარელი სტალინის გარშემო (**ტაში**).

მტრული სიბილწისაგან გაწმენდასთან ერთად საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ განამტკიცა თავისი რიგები მუშებიდან, გლეხებიდან და ინტელიგენციიდან პარტიაში საუკეთესო ადამიანების მიღების ხარჯზე. 1936 წლის ნოემბრიდან 1939 წლის მარტამდე პარტიის წევრობის კანდიდატებად მივიღეთ 18.5 ათასი ამხანაგი და პარტიის წევრად დაახლოვებით 8.000 ამხანაგი. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიკური სულისკვეთებით აღვზარდოთ ეს ახალი შევსება.

ასრულებდა რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, საქართველოს კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალი კადრების აღზრდას, სწორ შერჩევასა და დაწინაურებას. 1937 წლის იანვრიდან 1939 წლის მარტამდე ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო სამუშაოზე დაწინაურებულია რესპუბლიკაში 2.600 ახალგაზრდა მუშაკი.

ამხანაგ სტალინის მიერ ყრილობაზე მოცემული მითითებები ახალი და ძველი კადრების სწორი შეხამების შესახებ, საბჭოთა ინტელიგენციასთან მუშაობის შესახებ დაგვეხმარება კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმის, შემდგომ გაუმჯობესებაში, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აპარატის შემდგომ განმტკიცებაში.

უდიდესი წარმატებები მრეწველობის განვითარებაში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში და საქართველოს კულტურულ მშენებლობაში ხელმძღვანელობის სტალინური მეთოდების წარმატებებია. ეს წარმატებები საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მხრივ, ამხანაგ სტალინის მხრივ ჩვენდამი ყოველდღიური მზრუნველობის, ყოველდღიური ყურადღების შედეგია.

ამ წარმატებების მოპოვებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა შენიღბული კლასობრივად—მტრული ელემენტების, ყველა ჯურის ორგულების, ფაშიზმის საზიზღარი ტროცკისტ-ბუხარინელი და ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი აგენტების მძაფრი წინააღმდეგობის პირობებში.

ამხანაგ სტალინის ბრძნული მითითებებით შეიარაღებულმა საქართველოს ბოლშევიკებმა გამოამჟღავნეს და დაუნდობლად გაანადგურეს ჯაშუშებისა და გამცემლების გველური ბუდეები. ეს დიდი მუშაობა მათ ჩაატარეს დიდი სტალინის ერთგული მოწაფის ამხანაგ ლავრენტი ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს და ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებს (**ტაში**).

ამხანაგმა ბერიამ საქართველოს და ამიერ-კავკასიის ბოლშევიკები აღზარდა ბოლშევიკური პარტიულობის სულისკვეთებით, ლენინურ-სტალინური ინტერნაციონალიზმის, შეტევითი ბოლშევიკური სიფხიზლისა და ხალხის მტრებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთებით, ჩვენი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით (**ხანგრძლივი ტაში**).

ჯერ კიდევ რუსეთში რევოლუციური მოძრაობის განთიადზე დიდმა სტალინმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს და კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. ეს გვაკისრებს ჩვენ — საქართველოს ბოლშევიკებს—უდიდეს საპატიო პასუხისმგებლობას იმისათვის, რომ მთელ ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში ვიყოთ ღირსი სახელოვანი სტალინური ტრადიციებისა. საქართველოს ბოლშევიკების მთელი სიცოცხლის, მთელი ბრძოლის უმაღლეს მიზანს წარმოადგენს ჩვენი პარტიის სტალინური ცენტრალური კომიტეტის ნების, მშობლიური სტალინის—ჩვენი მამის, აღმზრდელის, პარტიის ბელადის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბელადის ნების განუხრელად შესრულება.

გაუმარჯოს დიდ სტალინს! **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გიორგი ლეონიძის ლექსები

გ. ჟღენტი

გიორგი ლეონიძის ლექსების წიგნი, რომელიც ეხლახან გამოსცა „ფედერაციამ", ქართულ საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთი საყურადღებო მოვლენაა. იგი მეტყველი დოკუმენტია იმ იდეურ — შემოქმედებითი გარდაქმნისა და ამაღლების, რაც უკანასკნელი წლების მანძილზე, ჩვენი დიადი სამშობლოს სამეურნეო-კულტურული ძლიერების სწრაფი ამაღლების გარემოცვაში განიცადეს თანამედროვე ქართულ მხატვრული სიტყვის საუკეთესო წარმომადგენლებმა.

სოციალისტურ სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარული წარმოადგენს საფუძველს გ. ლეონიძის პოეტური შემოქმედებისა.

„გულის ნათელი მე მიპოვია
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი.
სამშობლო—ჩემი გულის ფითქვაა,
სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი"

თუ ერთის მხრივ ეს მგზნებარე პატრიოტული ჰიმნი ანარეკლია საბჭოთა ხალხის უწმინდესი სიყვარულისა თავისი მიწა-წყალისადმი, მეორის მხრივ იგი გაგრძელებაა ქართული კლასიკური პოეზიის დიდი პატრიოტული ტრადიციებისა. აღორძინებული და თავისუფალი სამშობლოს ძლიერება, მისი დროშების ამაყი შრიალი პოეტს აღაფრთოვანებს დიდი ოპტიმიზმით გამსჭვალული, ხალისიანი და სასიხარულო სიმღერებისათვის:

„სამშობლოს დროშის შრიალს შევხარი,
ლოდმაგარ ქვიტკირს აღტაცებული
მიყვარს სამშობლოს განთიადები
მისი სიმაგრე შეუტეხელი,
მის ლამაზ მიწას ვეალერსები".

ბუნებრივია, რომ საბჭოთა პატრიოტიზმით შთაგონებული ჰიმნი პირველ ყოვლისა მიმართულია ჩვენი სამშობლოს ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორისა და სულის ჩამდგმელის — **დიდი სტალინისადმი.**

პოეტი ისწრაფვის რაც შეიძლება მეტის სიღრმით და ექსპრესიით, ჰანგებისა და ფერადების მრავალფეროვანებით გამოხატოს საბჭოთა ხალხის უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება მშრომელი კაცობრიობის გენიალური ბელადისა და მასწავლებლის—მშობლიური **სტალინისადმი.**

ბელადისადმი მიძღვნილი ლექსების ციკლში პოეტი დაუშრეტელი მხატვრული ენერგიით, კლასიკური პოეტური კულტურის და ხალხური ზეპირსიტყვაობის მთელი მდიდარი გამოცდილებისა და მხატვრული საშუალებათა მარაგის დაუფლებით ძერწავს პოეტურ შედარებათა, ეპიტეტებისა და მეტაფორების რთულ სისტემას, ქმნის დიდი მიმზიდველობის ჰანგების ქსოვილს, რათა მიაღწიოს ბელადის სახის სიდიადისათვის შესაფერ მაღალ პოეტურ ფორმას.

და რაც უფრო რთულია და დიდი ეს შემოქმედებითი ამოცანა, მით უფრო მეტის გულმოდგინეობით, მეტი გატაცებით და ენთუზიაზმით იბრძვის გ. ლეონიძე ამ უაღრესად საპატიო და სასიხარულო ამოცანის განხორციელებისათვის.

დიდი ბელადის პოეტური პორტრეტის დახატვისათვის პოეტი უფრო ხშირად პათეთიურ ფორმას იყენებს:

„[illegible]ობა და აზრის დიდება,
სიბრძნე და ბრძოლის ჭეშმარიტება.
ცეცხლი რომელიც არ იშრიტება.
შენს დიდ სახელში გაერთიანდა
შენ გაგვიხსენი წინ შეკრული გზა,
ბორკილი გასჭერ გათანგულისა,
ხარ ნაჭედობა ხალხის გულისა
ხალხის სუნთქვასთან გადაჭდობილი"

ბელადისა და ხალხის ეს განუყრელი ერთიანობის იდეა არა ერთხელ პოულობს ღრმა პოეტურ გამოხატულებას გ. ლეონიძის ლექსებში:

„შენში თავისთავს ადიდებს,
ხალხთა ზღვა ენა მრავალი,
მისი დროშა ხარ გაშლილი,
ხმელეთის თავზე მავალი."

ამბობს აღფრთოვანებული პოეტი.

ლექსში „მერვე ყრილობის დელეგატის მოგონება", რომელიც აგრეთვე ბელადისადმი მიძღვნილ ლექსების ციკლს მიეკუთვნება, პოეტი დიდის ექსპრესიით, ნამდვილი პოეტური გზნებით და უშუალობით გადმოგვცემს დიდ სტალინთან შეხვედრის დაუვიწყარ სურათს:

„კრემლის დარბაზში,
ბელადის გამოსვლას ველოდებოდით,
თითქოს ტალღებზე ვისხედით
მის მოლოდინში ვდნებოდით.
უცბად აფეთქდა ნაღმივით
ხმა ჰექით შემოტანილი
და ტაშის ზღვაზე მავალი
ჩვენ წინ გამოჩნდა... სტალინი".

საბჭოთა ხალხის მზადყოფნა თავისი მშობლიური მიწაწყალის დაცვისათვის ყოველი ჯურის თავდამსხმელებისაგან, ხალხის მრისხანე გაფრთხილება სოციალიზმის ყველა მტრისადმი, პოეტს გამოთქმული აქვს ასეთ მკვეთრ სტრიქონებში:

„და თუ გაბედავს წამოვა
თავისუფლების ამკლები,
დიდ რუსის ხალხთან მხარდამხარ
ჩვენს საზღვრებს მოვედარაგლებით.
ძირს ჯავშანს შევაღრიალებთ.
ჰაღლა მფრინავებს ავყვებით,
ხმალს [illegible] ხმალზედა
მტერს გულში დავეჯახებით".

დიადი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფის დღეები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების არჩევნების დაუვიწყარი დღეები გ. ლეონიძის პოეზიაში აღიბეჭდა საზეიმოდ ამღერებულ, მზიური კოლორიტით გასხივოსნებული ლექსებით. აქ პოეტი ახერხებს თავისი ხალხის სიხარულისა და აღფრთოვანების გადმოსაცემად შესაფერ მხატვრულ საშუალებათა გამონახვას.

გ. ლეონიძე ისწრაფვის გამოეხმაუროს ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ხალხის, ჩვენი სამშობლოს ცხოვრებაში.

გ. ლეონიძის პოეზიაში ჩვენ ვხედავთ საქართველოს ბუნებას, კერძოთ აღმოსავლეთ საქართველოსა და ტფილისის პეიზაჟების ფერადოვან მხატვრობას. გ. ლეონიძის, როგორც ბუნების მხატვრის დასახასიათებლად საკმარისია მოვიყვანოთ რამოდენიმე სტრიქონი ლექსიდან „ქართლის ბაღი":

„ბრწყინავს ქართლი, ვარდის ბაღი,
შეფრქვეული მინანქარით,
იაგუნდის წვიმა დასწვიმს,
სურნელების დაჰქრის ქარი,
ელავს ბაღი—ხოხბის ყელი,
შვიდ მაისის წვიმით მთვრალი,
მთებს და ველებს დასთამაშობს
გაზაფხულის მწვანე თვალი".

საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი პათოსსა და გაქანებას, მისი აღმშენებლობითი გმირობისა და ძლიერების მძლავრ გამოხატულებას გვაძლევს პოეტი ლექსებში „გმირი და პოეტი" და „საქართველოს ბოლშევიკები". ხალხთა სტალინური მეგობრობის დიადი იდეით არის შთაგონებული გ. ლეონიძის ლექსი: „მისალმება აზერბაიჯანის პოეტებისადმი". ჩვენი ხალხის მზიური აწმყოსა და მისი წარსულის კონტრასტულ სურათების ფონზეა გაშლილი გ. ლეონიძის პოემა „ფორთოხალა" — მიძღვნილი იმ გმირული შრომისადმი, რომელსაც ეწევა საბჭოთა ხალხი კოლხეთის ველზე. ეს მეტად ორიგინალურად მოფიქრებული და დიდი შინაგანი სიღრმით შესრულებული პოეტური ქმნილებაა.

ამ რიგად გ. ლეონიძის პოეზია იდეური აქტუალობით და თემატიური მრავალფეროვანებით ხასიათდება, ამ თემებსა და იდეებს გ. ლეონიძე ანსახიერებს ორიგინალურ, თავისებურ პოეტურ ფორმებში. იგი მკაფიო და გამოკვეთილი ინდივიდუალობის ხელოვანია, რომლის პოეტური ხმაც მკვეთრად გამოირჩევა თანამედროვე პოეზიის მრავალხმოვან ორკესტრში; იგი თანმიმდევრულად იბრძვის საკუთარი პოეტური პოზიციისათვის, მას სრული უფლება აქვს სთქვას:

„არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათრთოლებული
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაპობელი—
სიტყვა ამტყდარი წვიმასავითა
ცისარტყელებით ვარაყ ფრქვეული".

გ. ლეონიძეს უსათუოდ ნაპოვნი აქვს საკუთარი სიმღერა. იგი ხასიათდება ქართული სიტყვის განსაკუთრებულად გამახვილებული გრძნობით, მას მძაფრად ესმის სიტყვის შინაგანი მუსიკა და ცხოვლად განიცდის ლექსიკური მასალის ძალას პოეტური ქმნილების კომპოზიციაში.

გ. ლეონიძის ყოველი ლექსი ამღერებულია, მელოდიური და კოლორიტული, მისი პოეზიისათვის უცხოა მსჯელობითი სიმშრალე, ბუნდოვანება, სიმძიმე, მან მოსძებნა თავისებური რიტმი, განსხვავებული მელოდიური ჟღერა ლექსისა, რომელიც მის შემოქმედებას გზას უხსნის ხალხის ფართო ფენებისაკენ. გ. ლეონიძის პოეზიის დიდი სიახლოვე და ნათესაობა ახასიათებს პოეტური ფოლკლორის ძვირფას საგანძურთან. გ. ლეონიძის ლექსის სამკაულთა შორის, მის სახეებში, მეტაფორებში, ჰანგებში აშკარად ვამჩნევთ ხალხურ პოეზიის ზეგავლენას.

გ. ლეონიძე დიდ შემოქმედებითი ბრძოლას აწარმოებს ქართველი პოეტური მეტყველების ორგანიულობისათვის, ქართული პოეზიიდან ეპიგონობის ყოველგვარი გამოვლინების განდევნისათვის.

ამ ბრძოლაში გ. ლეონიძე ყოველთვის დაზღვეული როდია მთელ რიგ საშიშროებათა და ნაკლოვანებათაგან. პირველ რიგში აღსანიშნავია პოეტის ჭარბი გატაცება აშულური მოტივებით, ქალაქის პოეტური ბოჰემის ტრადიციებით. ეს „კილო მუხამბაზისა", რომელიც გასულ საუკუნის ქართულმა პოეზიამ (ნიკ. ბარათაშვილით დაწყებული) თანმიმდევრულად დასძლია, ვფიქრობთ ვერ [illegible] ქართული სოციალისტური ლირიკის გეზს. გ. ლეონიძის ლექსების წიგნში ხშირად ვხვდებით ამ აშულური პოეზიის გამოძახილს:

„დღეს თბილისის მოედანზე
მე ვარ ლექსის ქანდირბაზი.
სამქებაროდ ჩახჩახებენ
ჩირაღდანი, ფიანდაზი..

ან კიდევ:

„სად ლპებოდა ბეჭდიანი
ვაჰ, მანანას ხელი?"

და ან კიდევ:

„აბანოდან ამოილის
თვალციმციმა ქალი"

ძველი ლირიკის ეს გადანაშთი რა თქმა უნდა ორგანიული ვერ იქნება ახალი ქართული პოეტური კულტურისთვის.

გ. ლეონიძეს უნდა ვუსაყვედუროთ აგრეთვე, რომ მის პოეზიაში ადგილი აქვს ერთგვარ ეგზოტიურ ინერციას, რაც განსაკუთრებით ტფილისის პეიზაჟების ხატვისას იჩენს ხოლმე თავს:

„ მაგრამ ლექსი გადურჩება
ამ ძველ ნააჩრდილარს?
სახედარზე წითელ ბოლოკს
და ჭიანურს მტირალს
მეტივეს და თავის ურემს
წყნეთურ მაწვნის ქილას".

გ. ლეონიძის ლექსების წიგნში ვხვდებით ხოლმე აგრეთვე შედარებით ნაკლების გულმოდგინეობით დამუშავებულ ადგილებს. ტექნიკურად სუსტად შესრულებულს. აზრობრივად არა სწორს და ესთეტიურად დაბალ ღირსების სტრიქონებს, მაგალითად:

„წამოცვივდა ნახირი
კლდეზე გადანაჭერი,
და საქონელს პირიდან
ამოსცვივდა ნაჭამი.

ან კიდევ:

„ჭვავდა შურისძიებას
ზღვა არ იყო ჭკუაზე,
თითქოს იგი მიებათ
დამფრთხალ ცხენის ძუაზე"

ასეთი ადგილები რა თქმა უნდა სრულიადაც არ არიან დამახასიათებელნი გ. ლეონიძის პოეზიისათვის, მაგრამ თუ ჩვენ მაინც აღვნიშნავთ მათ, ეს იმიტომ რომ გ. ლეონიძე ისეთ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლისთვინაც მკითხველს უფლება აქვს მოითხოვოს ყოველი ლექსის, ყოველი სტრიქონის გულმოდგინეთ დამუშავება, პოეტური სრულყოფილება, თანამედროვე პოეტური კულტურის დონეზე დგომა.

ასეთია ჩვენი აზრით გ. ლეონიძის პოეტური შემოქმედების ზოგიერთი სიძნელეები. ისინი რა თქმა უნდა ვერ აბნელებენ გ. ლეონიძის ლექსებიდან მიღებულ საერთო შთაბეჭდილებას. ლექსების ამ წიგნს, გ. ლეონიძის მთელ პოეზიას მკითხველი განიცდის, როგორც ჩვენი დიადი სინამდვილის მაღალ პოეტურ გამოძახილს, შთაგონებულ ჰიმნს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსადმი.

ყ ა მ ა რ ი

ლადო გალიაური

უქმე დღე იყო. ხევსურებს საფეხნოში 1) მოეყარათ თავი. მე და ჩემი ამხანაგი, მასწავლებელი ვაჟი ერთხანს მოწიფეებს ველაპარაკებოდით, მერე კი საფეხნოში თავმოყრილ ხალხს შევუერთდით. საუბარი წაწლობის შესახებ ჩამოვარდნოდათ.

— ამ რამდენიმე წლის წინათ წაწლობით განთქმული ქალი იყო ხიჩლათ ყამარი, — ამბობდა ხნიერი კაცი და დროგამოშვებით ყალიონს აბოლებდა.

ყამარის ხსენებაზე ჩემი ამხანაგი შეკრთა, გაოცებით შეათვალიერა ფეხონი და დამნაშავესავით ვაინაბა. ეს მხოლოდ მე შევამჩნიე. ფეხონი კი სმენად იყო გადაქცეული. მოხუცი არ ჩქარობდა, ჩაფიქრებით რადმე განაგრძობდა სასაუბროს:

მრავალი წაწალი ჰყავდა ყამარს, რჩეული ვაჟკაცები მოდიოდნენ სტუმრად ხიჩლასთან, თაგაურობდნენ 2), ელჩებს ელჩებზე უგზავნიდნენ ქალს: წაწლობა სურდათ. ყამარმა კი... მხოლოდ გიორგვათ სურხანი არჩია ყველას — ვაჟი ჯიშიანი, მამაცი, მონადირე, მაგრამ ჩუმი, გულს ჩამხედავი... ქალ-ვაჟთ წაწლობას არავინ უშლიდა, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო, ამბობდნენ. ერთად-ერთი ყამარის დედა სანდუა იყო, რომელიც ბუზღუნით ისტუმრებდა ქალს საწაწლოდ და ტუქსავდა შინდაბრუნებულს უძინარ ყამარსა... იგი სურხანის ხვევნა-კოცნაში ტეხდა ღამეებს. სიყვარული ძლიერდებოდა, ქალ-ვაჟი ურთმანეთოდ ვერ სძლებდა. ერთხელ საიალალოს შეხვდნენ ერთმანეთს, მწყემსებს ასცდნენ და მწვანე ფერდობზე შალშავის 3) კრეფა დაიწყეს... იმ დღეს უცნაურს გრძნობდა ორივე — სიტყვა უქრებოდათ პირზე, მხოლოდ თვალებით საუბრობდნენ. შეუმჩნევლად განვლეს შალშვიანი ფერდობი და ტყის პირზე თეთრ არყის ქვეშ დასხდნენ. მათ თვალწინ ეფინათ ირანულ ხალიჩასავით გაშლილი საიალალო, გაღმა ფერდობზე ცხვრის თეთრი ფარები გაშლილიყვნენ, მთაზე გადამდგარი მწყემსი სალამურს უკრავდა: სევდას იქარვებდა, ნახირისკენ გაჭრილი მოზვერი სადღაც ჰღაოდა, თეთრი უშობელი დახტოდა მწვანე ვაკეზე, პირზე ნერწყვი მოსვლოდა, აძუეებული თვალებით იყურებოდა მოზვრისაკენ და უცნაურად ზმუოდა. გახელებული აჯილდა დასჭყიოდა ათქვირებულ ფაშატს, ფერდში ჰკბენდა, დროგამოშვებით თავს მიანებებდა, შემოტრიალდებოდა მკაცრი ჭყივილით კისერმოღერებული, ფაფარაშლილი ტოტებით დაეტევებოდა მოქიშპე ლურჯას და კვლავ ფაშატს დაუბრუნდებოდა. ქიუხებიდან დედალ შურთხის მწყრალი კრუშკრუში ისმოდა (მამალს თუ უძახდა). იქვე დიყიან ხევზე ანკარა წყარო მორაკრაკებდა, ნელი სიო დაჰქროდა ყვავილოვან მინდორზე, მზე რომ უხვად აფრქვევდა სხივებს... სურხანი დამუნჯებულივით იჯდა ყამარის გვერდით, შესცქეროდა მის ბროლივით თეთრ ყელს, შველივით რომ მოეღერებინა და ხელდებოდა დახარებული ვაჟკაცი... ქალი ინაბებოდა, თრთოდა, გული სურხანისკენ მისწევდა. აწყვეტილი ვნებით თვრებოდნენ ორივენი, და ყამარი... უნებურად ჩავარდა ვაჟის მძლავრ მკლავებში... ტუჩები ტუჩებს შეეწებნენ, მკერდი მკერდს, და გატვრინდა გარემო... მხოლოდ ცელქმა ნიავმა გაინავარდა, არყის ფოთლები ააშრიალა, ყამარის თმის ნაჭაპნებს 4) მოელოლიავა, არყის ფესვებზე რომ გადაშლილიყო შავი აბრეშუმივით, გაფუფქა ნაზ ბალახებში, გამწყრალივით გაიჭრა ველად და ყვავილებში გადაიკარგა...

ეს იყო და ეს...

იმ დღის შემდეგ ყამარი გამოიცვალა: ჯალაფთ უწყრებოდა, სწორფერთ 5) გულცივად ხვდებოდა, ტირილი რაღმე ეწადა, იშვიათად გამოდიოდა გარეთ, სიარული ეზარებოდა, თითქოს დამსხვილდა კიდეც, მაგრამ გაფერმკრთალდა. სოფელში ავი ხმები მიდი-მოდიოდა მოწაწლეთა შესახებ, სწორფრობა გაუკილეს, მუდამ სასენო ქართულს ესროდნენ...

სანდუას შიში ზარავდა. ალმაცერად უჭვრეტდა შვილს: დაფარულის გამოცნობა სურდა, მაგრამ ყამარი ეშმაკობდა, არავის ანდობდა საიდუმლოს... დროს ელოდებოდა ქალბნელი...

ერთ დღეს ყამარს ჯარა დაედგა ქერხოს 6) ბანზე, შავ ძაფს ძახდა და ნელიად მღეროდა ნაღვლიანის ხმით:

„... ცეცხლის პერანგი მაცვია,
ნავთის წინწკლები ღილადო"...

იქვე იჯდა სანდუა, მატყლს ჩეჩდა-ნამტნიდა და უამურად ისმენდა ყამარის სიმღერას...

უცბად სიჩუმემ გადაუარა სოფელს, ყველაფერი გატვრინდა. ყველა ცას შეაშტერდა: იისფერ წირწამულში 7) მოსცურავდა ამაყი არწივი, ხამუშ-ხამუშ ყიოდა. მკაცრ მზერას ესროდა გარემოს და იდუმალი სიძლიერით იზიდავდა ხალხის ხედვას. ყამარმა უნებურად შეხედა არწივს და შეკრთა. ოდნავ წამოიკივლა, თხორი ხელიდან გაუვარდა. თავმინებებულმა ჯარამ ღვედები დაწყვიტა, წიფლის ჯარატარი დატეხა, დაამსხვრია და ტანზე შეაშალა შემკრთალ სანდუას...

სულგანაბული ყამარი ვერაფერს გრძნობდა, სახე გაბრწყინვებული მისჩერებოდა არწივს — თეთრი თავი ჰქონდა: ვაჟის დაბადება იყო მოსალოდნელი. ნეტამც ასე მომხდარიყო — მხოლოდ ვაჟი იხსნიდა ყამარს...

სანდუამ ნელნელა აიწია, ბარბაცით წამოდგა, მისანივით მიაშტერდა შვილს გაბრწყინვებულ თვალებში.

— ფრახო! — ესროლა ყამარს ბრაზიანი სიტყვა და აფთარივით ეკვეთა. ხუჭუჭ თმაში ჩაავლო გამხმარი ხელები, შეანჯღრია, ბანზე წამოზიდა და საშინლად დაიკივლა

ქალის კივილმა მეხივით გაუარა სოფელს, შეაჟრჟოლა ხევსურები და თავისკენ მოუხმო: მირბოდნენ, მიოოლავდნენ — გროვდებოდნენ ხიჩლას ბანზე, თმა-წვერს იგლეჯდნენ, სამძიმარს ეუბნებოდნენ სანდუას. გულში დიდხანს ნატარებ შხამს ანთხევდნენ და სახეში აფურთხებდნენ თემსოფლის შემარცხვენელს: გაბიჭიანებულ ყამარს...

— თფუ- ფრახო!..
— სამიწევ!
— ჩამაგშილ ბარუქამ!.. 8)
— მაგის გულისად თუ დასწირენ სწორფერნი!..
— დავლახვროს კაცთ გამჩენმა, დაგლახვროს!..
— ფრახო!..
— ფრახო!..
— ფრახო!..

დასჭყიოდნენ სახეშეშლილი, თმაგაწეწილი ქალები.

ყამარი უღონოდ მიყრდნობოდა ყორეს, გაფითრებულიყო, გული უთრთოდა, მუხლები ეკეცებოდა, ზარავდა გამხეცებული ხალხი, ჯოხებით და ქვებით რომ მიიწევდა მისკენ.

სანდუა უარესს შვრებოდა: სახეს იკაწრავდა, უბე-ფარაგს იბერტყავდა, ძუძუებს იწყევლიდა, ბღაოდა, ჩაქოლეთო ყამარი, ეხვეწებოდა ხალხს...

— ტანისამოსი შემოახიეთ!.. — დაიძახა ვიღაცამ.

— ვაატიტვლეთ!.. — გამოეხმაურა მეორე.

დაჭრილი მხეცივით დაიღმუვლეს და ყამარისკენ გაიწიეს. ამ დროს სურხანი ნადირობიდან ბრუნდებოდა და შინშს 9) უშიშას გულის საიდუმლოს ანდობდა...

— ცუდი საქმე ჩაგიდენია, შინშო! — სთქვა უშიშამ და მღურვით შეხედა სურხანს.
— გადამრივა ქალაის ნდობამ...
— თავ დაგივიწყებავის...
— სიყვარულმ მაქნევინა...
— რა სთქვი?
— სიყვარულმ...
— სიყვარულმაო?! — გაიოცა უშიშამ. შედვა. სუნთქვა შეინელა. მუხლი შეასვენა...
— სწორფრობის წეს დაგირღვევავის, შინშო, სირცხვილი დაგიდგავის გვარისად, თემსოფელ შეგირცხვენავის... მრუშად გილაღობებია... მაგას არ ქვიან სიყვარული!..
— უშიშავ!.. — მწყრალად შესძახა სურხანმა და წინ შემოურბინა.
— სოფელი არ გაპატიებს. ცოლად რომ გერგებოდეს ყამარი, მაშინ ჰო, ადათი კი... სოფელში ცოლქმრობას კრძალავს. წაწალი წაწალს არ ეცოლების... ქალი მეზობელზე ვერ გათხოვდების, შინშო!
— მე მიყვარს ყამარი... ძალიან მიყვარს... იმის გულისად სიცოცხლეს გავხყიდი... შენ უნდა მომეხმარო, იმედო!
— მე რა შემიძლავის?
— ძმა გაჭირვებაში უნდა ძმას!
— კარგ საქმეში ძმა ძმას გამაადგების!
— არა, იმედო, სიტყვა თქვი, ენით საქმის გაკეთება შეიძლების, მე კი... — აზრი ვერ დააბოლოვა სურხანმა: ქალის კივილი მოაწყდა მათ.

გაოცებით შეხედეს ერთმანეთს— გულმა უბედურება უგრძნო. ჯიხვის ხორცის ბარგები გადაყარეს და სწრაფი რბენით მიიჭრნენ ხიჩლას კარზე.

მთელი სოფელი შემოხვეოდა გარშემო ყამარს. ჯოხები შეემართათ, ბრაზობდნენ, ცუდი საქმის თანაზიარის დასახელებას მოითხოვდნენ ყამარისაგან და ჩასაქოლავად ემზადებოდნენ. სანდუას თავის გვარის ქალები წამოშველებოდნენ. ტანისამოსი შემოეხათ ქალისათვის: იდგა ყამარი, კედელს მიყრდნობილი, თმაგაშლილი, სახეგაფითრებული, ათრთოლებულ ხელებს იფარებდა ვაღელილ მკერდზე, მუხლები ეკეცებოდა, გული მისდიოდა. უცბად სურხანს მოჰკრა თვალი და უღონოდ დაეცა ძირს...

თმაგაწეწილ ქალებს ველური ღმუილი აღმოხდათ. ბრაზიანად შეჩოჩქოლდნენ და ჯოხები მოუღერეს ყამარს. მაგრამ უშიშამ შეასწრო:

— შესდექით!..—მრისხანედ შესძახა მან, ქალის ფარად გადადგა, ორი მძლავრად მოქნეული ჯოხი აეცილა ყამარს.

— უფროსებმ განსაჯონ საქმე!. — იძახდა ბრაზით გახელებული სურხანი და უშიშას ედგა გვერდით.

ხალხი შეყოყმანდა: ორი ვაჟკაცი მფარველობდა ქალს, სოფლის ორი იმედი, ორი ციხე... გიორგვათ ახლები 10). მხოლოდ დედა სანდუა გამოედავა მათ:

— ჩემ შვილ იას, წყეულებო, ჩემ შვილ, თაოდ ამოვართობ სულთ!— ჰყიოდა იგი და ცოფმორეული იწევდა ყამარისკენ.

უშიშამ უფროსებს მოუხმო. დახმარება სთხოვა: დიაც-ყმაწვილი 11) თააწყნარეს, და დაღლილი, დაოსებული ყამარი ხალხის მოთხოვნით ბოსელში დაამწყვდიეს. თავისი გვარის დედაკაცები და სამიოდე ვაჟკაცი მიუჩინეს დარაჯად, არსად გაუპაროსთო, გააფრთხილეს და დილას დაელოდნენ...

ამბის მომყოლი შედგა, სულგანაბულ ფეხონს გადახედა, ოდნავ ამოახველა, ყალიონს თამბაქო დაუმატა, ხარბად მოსწია და თხრობა განაგრძო.

თემსოფელს მოედო ახალი ამბავი:

— ბიჭ გამოსჩენია ხიჩლათ ყამარს!..
— სწორფერნ შაურცხვენიან!..
— გვარისად ფლას დაუხურავ!.
— ჯალაფთად 12) საყვედური დაუდვავის!..

იყო მითქმა-მოთქმა.

ხალხი ნელნელა გროვდებოდა ხიჩლას ბანზე. მოდიოდნენ მეზობლები, მოკეთეები, მეგობრები, სწყევლიდნენ ყამარს და ახალგაზრდებს ემდუროდნენ, შებღალესო მამა-პაპური წესები.

ჩუმმა ჩურჩულმა ჩამოუარა კრებულს:
— დღეს გიორგათ ყმაწვილებ სხვარიგობენ.
— ხალხს ახლოს აღარ ეკარებიან..
— სურხან კრებულში არ ერევის...
— იქნებ...

მაგრამ ღმერთმა დაიფაროს... ხალხი რას უბნობდა?!! ცეხეს ხომ არ დაშლით სოფელში!..

გიორგათ გვარის იმედი უშიშა იჯდა ხალხში, დინჯად აბოლებდა ყალიონს, ისმენდა ჩუმ ჩურჩულს და ნაღვლიანად ილიმებოდა. ბოლოს ველარ მოითმინა:

— ვინ შეგვარცხვინა?! — იკითხა მან და ხალხი ბრაზიანად შეათვალიერა. კრებული შეკრთა, შეიშმუშნა.

— თავად იტყვის ყამარი!—წამოიძახა ვიღაცამ.

— ქალაი მალავს—გამოეხმაურა მეორე.

— ათქმევინებენ!—გაიელვა ბრაზიანმა ხმამ და ხალხში ახმახი ტანის ხევსური წამოიმართა, — წაწლობის წესი დაარღვიეს, ადათს შესცოდეს, თემსოფელ შეარცხვინეს, გვარიშვილობას საყვედური დასდვეს... ხთის რისხვის ცეცხლში უნდა დაიწვნენ ორივენი, — ამბობდა იგი და შესისხლულ თვალებს აბრიალებდა.

მაგას რად იტყვი, ბეწინავ!? დაემდურა ჭაღარა ხევსური.

— მოუხდომ არა მახდების!..
— ჩემი ხელით მოუსპობ სიცოცხლეს!
— კაცის სისხლ ადვილად არ დაილვრების, ვაჟკაცო!..
— კაცის სისხლ ძნელად გაიწმიდების!
— კაცის მოკვლა დამძიმდების!..
— თავსისხლი შვილბოლოს გახყვების!..
— წესის გულისად ყველაიც იქნების! წეს წესად უნდა დარჩეს, სვინდის-ნამუსი სვინდის-ნამუსად!— იძახოდა ბეწინა, ყამარის ნაწოლარი და ყამარისავე გაწბილებული ვაჟკაცი.

ჭაღარა ხევსური ადგა. დინჯად გადახედა ხალხს.

— ქალ მოიყვანეთ!—სთქვა მან.

წამით გაჩუმდა ყველა. უშიშა შეკრთა.

— ქალმ თავად დაასახელას! — ამბობდა მოხუცი.

— ქალმ თქვას მრუშობის მოზიარე! — ემოწმებოდა ხალხი და ყამარის გამოსვლას ელოდნენ.

ცოტახნის შემდეგ ჩოჩქოლი ატყდა.

— მოჰყავთ! — წამოიძახა ვიღაცამ. ხალხი აირდაირია, ეზოში შემოსასვლელ კარებს მოაწყდა. დაოსებული ყამარი მოჰყავდათ ხალხის მიერ მიჩენილ დარაჯებს. დამხდურთ ზიზღი გამოეხატათ სახეზე. ქალები აფურთხებდნენ, მამაკაცები უკადრის სიტყვებს ესროდნენ. უშიშა ბრაზობდა, განზე იყო გამდგარი, გული ბრძოლისაკენ მისწევდა, მაგრამ... საქმეს წავახდენო, უწყრებოდა თავს. ორ ვაჟკაცს რა შეეძლო თემსოფლის წინაშე? ხალხი ფეხით გასრესდა. ძონძად აქცევდნენ და მყეფრებს ასადილებდნენ მათი ლეშით. ხერხით სურდა საქმის მოგვარება. არც სურხანი მიუშვია იმ დილით ხალხში — ეჭვი იმაზე მიდიოდა: სურხანს ემრუშებიაო, ამბობდნენ ავის ენის დედაკაცები. სურხანი კი იჯდა მეზობელ სახლის ბანზე, ზურგი შეექცია კრებულისათვის, კაჟიან თოფს — ხირიმს წმენდდა და იგი ყოველ წუთში მზად იყო სიცოცხლე ეჩუქებინა ყამარისათვის. მაგრამ დროებით ითმენდა: უშიშასათვის ჰქონდა მინდობილი საქმე, ნაკლებ ყურადღებას აქცევდა ხალხის ყაყანს. მხოლოდ მაშინ გაამახვილა სმენა. როდესაც ხევისბერის ხმა შემოესმა.

— ყამარო, შენ დაარღვიე ხევსურეთის წესი, შეარცხვინე დიდმამა, ფლასი დახურე თავზე გვარს. სახილი გაუტეხე სწორფერთ, აღრიე თემსოფელი, შენის უნამუსო საქციელით გვარი გვარს უნდა გადაეკიდოს... ეხლა ხალხი შენს განსასჯელად მოსულა... სიკვდილი გელის... ცოდვას ნუ წაიღებ საიქიოს, თქვი, რომელმა ვაჟკაცმა იმრუშა შენთან?! ვინ გაბედა უნამუსო წაწლობა?!

ყამარის ბაგეები უფრო მოიკუმშა, სახეზე თეთრმა ფერმა გადაჰკრა...

სიჩუმე ჩამოწვა ხალხში.

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

1) საფეხნო — საზასო-სალაყბო.
2) თაგაურობა — მედიდურობა.
3) შალშავი — მოცვი.
4) ნაჭაპნები — ნაწნავები.
5) სწორფრობა — წაწლობა.
6) ქერხო — ხევსურული სახლის მეორე სართული.
7) წირწამული — გამჭვირვალე ბურუსი
8) დაგშალოს საფლავის მიწამ; ბარუქა — სასაფლაო.
9) შინში — ბიძაშვილი.
10) გიორგაანთ ახალგაზრდები.
11) დიაც-ყმაწვილი — ხევსურული გამოთქმაა, ნიშნავს შეკრებულობას, სადაც არიან მოხუცი და ახალგაზრდა ქალები და ვაჟები.
12) ჯალაფი — ჯალაბი.

საბჭოთა მწერლების მიტინგი

უდიდესი ყურადღებით, ულრმესი ინტერესით და აღფრთოვანებით ეცნობიან და სწავლობენ ჩვენი ქვეყნის მშრომელი მასები ხალხთა ბელადის დიდი **სტალინის** მიერ საკ. კ. პ. (ბ) მეთვრამეტე ყრილობაზე წარმოთქმულ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოხსენებას.

ამხანაგ **სტალინის** გენიალური მოხსენება, მისი დებულებები და დასკვნები სოციალიზმის მშენებელ მილიონებისათვის გადაიქცა ახალი შთაგონებისა და მხნეობის დაუშრეტელ წყაროდ, მათი მოქმედების, ბრძოლისა და შრომის სახელმძღვანელო პროგრამად კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

14 მარტს მწერალთა სასახლეში შესდგა საბჭოთა მწერლების, გამომცემლობა „ფედერაციის" და ლიტფონდის თანამშრომელთა საერთო მიტინგი.

ხალხთა ბრძენი ბელადის **სტალინის** მოხსენება,—განაცხადა ამხ. შ. რადიანმა,—ჩვენი ეპოქის უდიდეს და უბრწყინვალეს დოკუმენტს წარმოადგენს. მასში მოცემულია გენიალური მარქსისტულ-ლენინური ანალიზი იმ გზისა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ და პარტიამ უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე გაიარეს. ამავე დროს ამხანაგ **სტალინის** მოხსენება არის შესანიშნავი თეორიული გამოკვლევა, რომელიც ემყარება სოციალისტური მშენებლობის უმდიდრეს გამოცდილებას და რომელიც ამდიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას. დიდმა ბელადმა, ურყევი ფაქტებით და ამ ფაქტების სწორუპოვარი ანალიზით გადაშალა ჩვენს წინ სოციალისტური სამშობლოს სამეურნეო და კულტურული აღმავლობის დიადი სურათი. თუ საბჭოთა კავშირისათვის ეს ხუთი წელი იყო სამეურნეო აყვავების, მისი პოლიტიკური და სამხედრო თავდაცვითი განმტკიცების წლები, იგივე პერიოდი კაპიტალისტური სახელმწიფოებისათვის წარმოადგენდა ახალი ეკონომიური კრიზისის, საერთაშორისო პოლიტიკური ვითარების გამწვავების, პირველ იმპერიალისტურ ომს შემდეგ შექმნილ საზავო ხელშეკრულებათა სისტემის რღვევის, მეორე იმპერიალისტური ომის დაწყების წლებს. დიდმა ბელადმა ბოლომდე ახსნა და განმარტა მეორე იმპერიალისტური ომის მიზეზები, ნათლად დაგვანახა, თუ რას წარმოადგენს ნამდვილად ჩაურევლობის პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს აგრესორებს და მეორე იმპერიალისტური ომის საყოველთაო მსოფლიო ომად გადაქცევას. უკვე დაწყებული ომის და შეუწყვეტელი სამხედრო შეიარაღების ციებ-ცხელების ვითარებაში მხოლოდ ჩვენი ქვეყანა—საბჭოთა კავშირი — იბრძვის დაუცხრომლად მშვიდობიანობისათვის და იცავს შეუდრეკლად მშვიდობიანობის საქმეს.

განუზომელია დიდი **სტალინის** მოხსენების მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ იგი შეიცავს დამთავრებულ თეორიას სოციალისტური სახელმწიფოს შესახებ და ამომწურავად აშუქებს ინტელიგენციის ადგილსა და როლს სოციალიზმის დროს. გამოდის რა ახალ ისტორიულ ვითარებიდან, კაპიტალისტური გარემოცვის არსებობის ფაქტიდან, ამხანაგი **სტალინი** იძლევა ზუსტ პასუხს იმაზე, თუ როგორია სახელმწიფოს როლი სოციალიზმისა და კომუნიზმის დროს.

დიდმა ბელადმა,—სთქვა დასასრულ ამხ. რადიანმა,—ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში მოგვცა მოქმედების დიადი პროგრამა. ერთსულოვნება საბჭოთა ხალხისა, მისი პოლიტიკურ-მორალური მთლიანობა და მჭიდრო დარაზმულობა **ლენინ-სტალინის** პარტიისა და დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** გარშემო, ურყევი თავდებია იმისა, რომ ეს პროგრამა უდიდესი წარმატებით იქნება განხორციელებული.

დიდი **სტალინის** მოხსენების უდიდესი მნიშვნელობის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ მწერლები: **ალიო მაშაშვილი, ს. კლდიაშვილი, ილო მოსაშვილი, ალ. გომიაშვილი, ბ. ჟღენტი** და **სანდრო ეული.** პირველ ამოცანად ამხანაგებმა დასვეს ხალხთა ბელადის ამხანაგ **სტალინის** სიბრძნითა და სიღრმით აღსავსე მოხსენების ყოველმხრივად და საფუძვლიანად შესწავლა. იგი უნდა დაედოს საფუძვლად ჩვენს შემდგომ შემოქმედებითს მუშაობას. მწერლებისათვის, ისევე, როგორც ყველა მშრომელისათვის დიდი ბელადის მოხსენება არის ახალი შთაგონების, ახალი შემოქმედებითი ენტუზიაზმის წყარო. განსაკუთრებით ყურადღება უნდა გავამახვილოთ ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საკითხებზე და მივსცეთ საბჭოთა მკითხველს ისეთი ნაწარმოებნი, რომლებიც დაანახვებენ მას ჩვენი ქვეყნის ძლევამოსილებას, მისი ადამიანების საბრძოლო და შრომის გმირობას. ჩვენ გვმართებს აგრეთვე გამოვხატოთ სახე საბჭოთა ინტელიგენტისა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ხალხთან და ემსახურება მას რწმენითა და სიმართლით. ხალხი ჩვენგან მოითხოვს ისეთ ნაწარმოებებს, სადაც მთელი სიდიადით უნდა გამოჩნდეს საბჭოთა ხალხის ურყევი პოლიტიკურ-მორალური მთლიანობა. აი ამ დიდ ამოცანებს გვაკისრებენ ჩვენ დიდი ბელადის მოხსენება და საკ. კ. პ. (ბ) მეთვრამეტე ყრილობა. ჩვენი წმინდა მოვალეობაა, ღრმად ჩავწვდეთ დიდი ბელადის მოხსენებასა და პარტიის მე-18 ყრილობის ყველა დადგენილების შინაარსს, არ დავზოგოთ ძალღონე, რომ შევქმნათ ნაწარმოებნი, რომელნიც შეესაბამებიან მესამე ხუთწლედის დიად ამოცანებს.

შევჩენკოს საიუბილეო დღეები საქართველოში

საქართველოს დაბა-ქალაქებმა დიდი ზეიმით აღნიშნეს უკრაინის დიდი სახალხო პოეტ რევოლუციონერის ტარას შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავი.

კლუბებმა, კოლმეურნეობებმა, სკოლებმა პოეტის უკვდავ ხსოვნას მიუძღვნეს ლიტერატურული საღამოები, სადაც ტფილისიდან მიწვეული მწერლები და ლიტერატურის მასწავლებლები გამოდიოდენ მოხსენებებით პოეტის ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე, ხოლო ადგილობრივი თეატრების მსახიობები და მოწაფეები კითხულობდნენ შევჩენკოს ლექსებს და ნაწყვეტებს მისი პოემებიდან. ბევრგან გამოვიდა შევჩენკოს იუბილესადმი მიძღვნილი კედლის გაზეთების სპეციალური ნომერი და მოეწყო პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენები.

ვათავსებთ ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისაგან მიღებულ ცნობებს ჩვენს ზოგიერთ დაბა-ქალაქებში გამართულ საღამოების შესახებ.

ტფილისის ინდუსტრიული ინსტიტუტი

ტფილისის ინდუსტრიულმა ინსტიტუტმა სანიმუშოთ აღნიშნა დიდი უკრაინელი პოეტის დაბადების 125 წლის იუბილე: გამოუშვა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, ხოლო 13 მარტს ინსტიტუტის კლუბში გამართა შევჩენკოს შემოქმედების საღამო. ვრცელი მოხსენება პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე წაიკითხა ამხ. ვ. წულუკიძემ. შევჩენკოს იუბილეს უდიდეს პოლიტიკურ-კულტურულ მნიშვნელობაზე ილაპარაკა დამსახურებულმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ. შევჩენკოს პოემის „კავკასის" ქართული თარგმანი დიდი ოსტატობით წაიკითხა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ, შევჩენკოს ლექსები და მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი პოეტ ვალ. გაფრინდაშვილის ლექსი წარმოსთქვა ორდენოსანმა მსახიობმა თამარ ჭავჭავაძემ, შევჩენკოს ლექსები წაიკითხეს აგრეთვე ინსტიტუტის სტუდენტებმა. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ტფილისის სახელმწიფო ოპერის მომღერლებმა ორდენოსანმა ნ. ხარაძემ და ცაგურიამ.

ქ. გორი

19 მარტს შევჩენკოს იუბილეს აღსანიშნავად თეატრში შინაარსიანი საღამო მოაწყო გორის განათლების განყოფილებამ. ხალხით გაჭედილ თეატრის დარბაზს პოეტის ცხოვრება და მოღვაწეობა ვრცლად გააცნო გორის პედინსტიტუტის ლექტორმა იპ. ვართაგავამ. შევჩენკოს შემოქმედების რევოლუციურ მნიშვნელობაზე ილაპარაკეს აგრეთვე ვ. წულუკიძემ, პედინსტიტუტის ლექტორმა ვ. მაისურაძემ, სტუდენტებმა და საშუალო სკოლების მოწაფეებმა. მრავალფეროვანი იყო საკონცერტო განყოფილება. პოეტებმა ვასო გორგაძემ და სოლომონ თავაძემ წარმოსთქვეს შევჩენკოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. მოწაფეებმა შესანიშნავად შეასრულეს მონტაჟი შევჩენკოს მთავარი ნაწარმოებებიდან. აუდიტორიას განსაკუთრებით მოეწონა უმცროსი კლასების მოწაფეთა მიერ წარმოთქმული შევჩენკოს ლექსები. აღფრთოვანებით შეხვდა საზოგადოება უკრაინელი მოწაფეების გამოსვლას. მათ უკრაინულად წაიკითხეს ადგილები „კატერინადან" და „გაიდამაკებიდან". მოწაფეთა გუნდმა შეასრულა შევჩენკოს ლექსების ტექსტზე დაწერილი უკრაინული სიმღერები.

ქ. ქუთაისი

შევჩენკოს საიუბილეო საღამო ქუთაისში გაიმართა 15 მარტს. საღამო გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ქუთაისის ქალაქკომის კულტურისა და ლენინიზმის პროპაგანდის განყოფილების გამგემ ამხ. ვ. ლალიაშვილმა.

შევჩენკოს ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ამხ. ს. ისიანი და ვრცელი სიტყვით პედ. ინსტიტუტის ლექტორი ამხ. ქს. კვანტრე. შევჩენკოს და მისადმი მიძღვნილი ლექსები წაიკითხეს პოეტებმა: ვ. კეშელავამ, ს. ახვლედიანმა, ვ. გვეტაძემ, გურჯიძემ და სხვ. მსახიობმა ქალმა თ. ღვინიაშვილმა წაიკითხა შევჩენკოს ლექსი „ფიქრნო ჩემნო". საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო აკადემიურმა გუნდმა ლოტბარ ბ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

ქ. ჭიათურა

შევჩენკოს დაბადების 125 წლის თავისადმი მიძღვნილი საღამო ქალ. ჭიათურაში გაიმართა 14 მარტს. მაღაროელი მუშებით, მოსამსახურეებით და მოწაფეებით სავსე დარბაზმა ინტერესით მოისმინა ამხ. ვ. წულუკიძის მოხსენება შევჩენკოს ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე. აღფრთოვანებით შეხვდა აუდიტორია ამ საღამოზე საგანგებოდ ჩამოსულ პოეტებს — გიორგი ქუჩიშვილს და სოლომონ თავაძეს, რომლებმაც წაიკითხეს შევჩენკოსადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები.

ღრმა განცდით წარმოსთქვეს შევჩენკოს ლექსები და ნაწყვეტები პოემებიდან ჭიათურის თეატრის მსახიობებმა. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი ქართული და რუსული სკოლის მოწაფეებმაც, რომლებმაც წარმოსთქვეს შევჩენკოს ლექსები უკრაინულ, რუსულ და ქართულ ენებზე. აუდიტორია განსაკუთრებული აღფრთოვანებით შეხვდა უკრაინულად წარმოთქმულ შევჩენკოს ლექსებს. საზოგადოება დიდი ინტერესით ათვალიერებდა თეატრის ფოიეში მოწყობილ გამოფენას, რომელზედაც წარმოდგენილი იყო შევჩენკოს მხატვრობის რეპროდუქციები, ძველი და ახალი ლიტერატურა შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

ქ. მახარაძე

11 მარტს ქალ. მახარაძის თეატრში გაიმართა შევჩენკოს საიუბილეო საღამო. თეატრის სცენა საზეიმოთ იყო მორთული, შუაში ყვავილებით გარშემორტყმული ამართულ იყო შევჩენკოს პორტრეტი, საშუალო სკოლის მოწაფის დარჩიას მიერ დახატული. შევჩენკოს ცხოვრებაზე და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ალ. ჭეიშვილი, სიტყვებით—ადგილობრივი სკოლების მასწავლებლები და საწარმოთა წარმომადგენლები. ყოველ გამოსვლაში გამოსჭვივოდა დიდი სიყვარული და პატივისცემა უკრაინელი ხალხის სასიქადულო შვილისადმი. პოეტმა გრ. ცეცხლაძემ წაიკითხა შევჩენკოს ლექსების საკუთარი თარგმანი. შევჩენკოს ლექსები წარმოთქვეს აგრეთვე ქალ. მახარაძის სკოლების მოწაფეებმა. საღამო დიდი კონცერტით დასრულდა.

ქ. წულუკიძე

ქ. წულუკიძეში ტ. შევჩენკოს საიუბილეო საღამო გაიმართა 17 მარტს. კულტურის სახლი გაივსო მუშებით, მოსამსახურეებით და მოწაფეებით. ფოიეში მოწყობილი იყო შევჩენკოსადმი მიძღვნილი გამოფენა, იქვე გამოფენილი იყო შევჩენკოს იუბილეს გამო საგანგებოდ გამოშვებული კედლის გაზეთები. ტ. შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე მოხსენებით გამოვიდა ერ. ასტვაცატუროვი, სიტყვებით— მასწავლებელი ბელია და ადგილობრივი სკოლების მოსწავლეები. ორდენოსანმა მწერალმა კონსტ. ლორთქიფანიძემ წაიკითხა შევჩენკოს „კავკასი" (საკუთარი თარგმანი). შევჩენკოს ლექსების დეკლამაციით გამოვიდნენ საშუალო სკოლის მოწაფეები. საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ქ. წულუკიძის მუსიკალური სკოლის მოწაფეთა კოლექტივმა.

სოფ. ანასეული

13 მარტს ტ. შევჩენკოსადმი მიძღვნილი საღამო მოაწყო ანასეულის სუბტროპიკულ ინსტიტუტმა. საღამოს დაესწრნენ ჩაის პლანტაციების სტახანოველები და მეცნიერი-მუშაკები. მოხსენება შევჩენკოს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხა ალ. ჭეიშვილმა. სიტყვებით გამოვიდნენ მეცნიერი მუშაკები. ისინი ხაზგასმით აღნიშნავდენ იმ სიყვარულს და პატივისცემას, რომელსაც იწვევს ყველა მშრომელის გულში უკრაინელი დიდ პოეტ რევოლუციონერის ცხოვრება და შემოქმედება.

— შევჩენკოს ოცნება,— ამბობს მეცნიერი მუშაკი გ. გოლეთიანი,— დიდმა ოქტომბერმა სინამდვილედ აქცია. განთავისუფლებული უკრაინის ხალხი სხვა მოძმე ხალხებთან ერთად განიცდის უდიდეს ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ უკრაინის მეცნიერ მუშაკებთან და ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს მიღწევებს და გამოცდილებას.

შევჩენკოს ლექსების საკუთარი თარგმანი წაიკითხა პოეტმა გრ. ცეცხლაძემ.

სოფ. შრომა

მახარაძის რაიონის სოფ. შრომის კოლმეურნეები, რომლებსაც სოცშეჯიბრების ხელშეკრულება აქვთ დადებული დნეპროპეტროვსკის ოლქის გენიჩევის რაიონის კოლმეურნეებთან, განსაკუთრებული სიხარულით გამოეხმაურნენ შევჩენკოს დაბადების 125 წლისთავს. საკოლმეურნეო კლუბში მოეწყო პოეტის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. შევჩენკოს ცხოვრება და შემოქმედება კოლმეურნეებს გააცნო ალ. ჭეიშვილმა. მგზნებარე სიტყვები წარმოსთქვეს კოლმეურნეებმა და მასწავლებლებმა. ისინი იგონებდნენ გასული წლის ნოემბრის დღეებს, როდესაც სოფელ შრომას ესტუმრა ბედნიერი უკრაინელი ხალხის დელეგაცია.

— ხალხთა განთავისუფლებისათვის, მშრომელთა ბედნიერი ცხოვრებისათვის იბრძოდა ტ. შევჩენკო —ამბობს კოლმეურნე ელისე ხომერიკი. — თავისუფლებისათვის ბრძოლას შესწირა მან მთელი თავისი სიცოცხლე და ნიჭი. დღეს მთელი საბჭოთა კავშირი სიყვარულით იგონებს მის დიდ სახელს. კერძოთ ჩვენთვის მისი ხსოვნა ისევე ძვირფასია, როგორც ჩვენი დიდი მწერლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისა.

საღამოს საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს მოწაფეებმა, რომლებმაც წაიკითხეს შევჩენკოს ლექსები უკრაინულ და ქართულ ენებზე.

ახალი წიგნები

„სამშობლო"

სახელგამმა გამოსცა მხატვრულ-ლიტერატურული კრებული „სამშობლო". კრებული შეიცავს ლექსებს, მოთხრობებს და ნარკვევებს ჩვენი გმირული წითელი არმიის, ავიაციისა და საზღვაო ფლოტის შესახებ.

კრებულის შინაარსი: შ. დადიანი — წალკოტი, ლ. ასათიანი — ჩემი სამშობლო, გ. ლეონიძე — სტალინი, ა. მაშაშვილი — ჰიმნი სამშობლოს, გ. ტაბიძე — იდეა, დ. შენგელაია — ფიცი. კ. ბობოხიძე — სიმღერა სტალინზე, ს. თავაძე — საზღვარზე მყოფ ბიძაშვილს, ტ. ფრუნზე — ვიქნებით ისეთი, როგორიც იყო ჩვენი მამა, ი. მოსაშვილი — მხედრული სიმღერა. ა. აბაშელი — ფოლადაური, ს. ჩიქოვანი — სიმღერა სტალინზე, გ. ქუჩიშვილი — აღორძინებული საქართველო, რ. ქორქია — ბუდიონის პაპიროსი, მ. მიქელაძე — მხედრის ფიცი, ა. მაშაშვილი — სამშობლო ბელადისა, გ. ტაბიძე — ყველა წითელარმიელი იდგის როგორც ლომი, ვლ. რუდნი — სემიონოვების ოჯახი, ვ. ჟურული—ლაშქრული, ა. ჩაპაევი — სამშობლოსათვის, სტალინისათვის, კ. ბობოხიძე — სიმღერა ვოროშილოვზე, ალ. გომიაშვილი — სნაიპერი, ა. ჩაჩიბაია — ბუთულა, ი. გრიშაშვილი — სამშობლოსადმი, დედის წერილი, კ. ბობოხიძე — ლავრენტი ბერიას, ა. ლაზო — ქალიშვილი დაიკავებს მამის ადგილს, ი. მოსაშვილი — ბელადს, ა. თევზაძე — სტალინს, ვ. გაფრინდაშვილი — ოცნება ბელადზე, ვ. მგალობლიშვილი — ორბის თვალი, რ. გვეტაძე — ვინც მზესავით ანათებს, ს. ეული — სამშობლოს, ა. აბაშელი — [illegible], გ. [illegible] — [illegible] სიმღერა, ა. ბელიაშვილი — იუსტინეს ხაფანგი, ს. შანშიაშვილი — დედისერთა ბელადთან, ნაფოტი, ვ. შიოლსი — ვიყოთ ჩვენი მამების ღირსი, კ. კალაძე — სიმღერა, ი. მოსაშვილი — ჩემო ქვეყანავ, გ. ქუჩიშვილი — ბალადა წითელ არმიაზე, რ. ქორქია — გმირები, ს. თავაძე — ახალგაზრდა პილოტებს, პ. ჩხიკვაძე — მეცხრე ცაზე, გ. ტაბიძე — ჩვენი ჯარი ძლიერია, მაგრამ სხვა სიძლიერით, ა. გომიაშვილი — მეომარის ფიცი; თითბრის ლილი, ნადირობისას, გ. კაჭახიძე — მხედარი, ო. კურგანოვი — ხასანის გმირები, ვ. ჟურული — მხედრული, ი. ეკსლერ — ალექსანდრე გოგუა, ს. [illegible] — წვევამდელი, ვ. გორგაძე — ხასანის გმირებს, პ. ჩერედნიჩენკო — ასე იბადებიან გმირები, მ. ბარათაშვილი— მესაზღვრის წერილი დედას, მ. მიქელაძე — კიდევ უფრო მაღლა ვიფრენთ, ს. ზლოი — როგორ დავსცხეთ იაპონელებს, ა. გომიაშვილი — პირველი ცხენოსანი; ი. პარხომენკო, ე. პარხომენკო — განხორციელდა ჩვენი მამის ოცნებანი, ს. თავაძე — ვარსკვლავები, ა. ბელიაშვილი — სამშობლო ხევსურისა, გ. კალანდაძე — მოგვაქვს ძალა ორი მხისა, გ. კოტოვსკი — მამის ცხოვრება მაგალითია ჩვენთვის, ი. გრიშაშვილი — 1939 წელს, ა. თევზაძე — მეც მინდა ჩავდგე გმირების რიგში.

„სამშობლო" გამოვიდა ამხ. ნ. კიკნაძის რედაქციით, შეიცავს 240 გვერდს და ღირს 10 მანეთად.

სიმონ ჩიქოვანის ახალი ლექსების წიგნი

გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი. წიგნში მოთავსებულია პოეტის მიერ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები. წიგნი შეიცავს 220 გვერდს და ღირს 8 მან. 25 კ.

წიგნის გარეკანის გაფორმება ეკუთვნის მხატვარ ს. კეცხოველს.

ილო მოსაშვილის ლექსები

გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა ილო მოსაშვილის ლექსების წიგნი. წიგნში შეტანილია უმთავრესად ის ლექსები, რომლებიც პოეტს დაუწერია უკანასკნელ წლებში. წიგნი შეიცავს 110 გვერდს და ღირს 4 მან. და 50 კაპ.

დანტეს „სალხინებელი" ქართულად

სახელგამმა გამოსცა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის" მეორე წიგნის „სალხინებლის" ქართული თარგმანი, შესრულებული კონსტანტინე გამსახურდიას მიერ. წიგნს დართული აქვს კონსტ. გამსახურდიას მიერ დაწერილი ვრცელი კომენტარები და მონოგრაფია „ალიგჰიერი დანტე". ამ მონოგრაფიაში მოცემულია XI-XIII საუკუნეების იტალიური პოეზიის მიმოხილვა.

„პოეტი და ადამიანი"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ სასკოლო ბიბლიოთეკის სერიაში გამოსცა გ. ნადირაძის წიგნი „პოეტი და ადამიანი". წიგნში განხილულია ნიკოლოზ ბარათაშვილის ცხოვრება და შემოქმედება. წიგნი შეიცავს 104 გვერდს და ღირს 1 მან. და 40 კაპ.

„შიო მღვიმელის ცხოვრება"

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა გ. კაჭახიძის წიგნი „შიო მღვიმელის ცხოვრება". წიგნი შეიცავს 62 გვერდს და ღირს 1 მან. და 60 კაპ.

„ზარია ვოსტოკას" ახალი გამოცემები

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა" ამ მოკლე ხანში გამოსცემს რუსულ ენაზე საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას", ნ. ლომოურის მოთხრობების კრებულს, ვაჟა-ფშაველას ნაწერების ერთტომეულს (ლექსები, პოემები და მოთხრობები), გრ. ორბელიანის ლექსებს, დ. კლდიაშვილის „ქამუშაძის გასაჭირს", ვ. ბარნოვის მოთხრობების კრებულს, აკ. ბელიაშვილის ნოველების წიგნს, შ. დადიანის პიესას „პუშკინი საქართველოში" და ქართულ ზღაპრებს.

ყამარი

(დასასრული)

— თქვი!..

— ხალხი შენგან ელის პასუხს!.. — შესძახა ერთხმად კრებულმა და ქალისაკენ გაიწია.

ყამარი მარმარილოს ქანდაკებასავით იდგა. უფრო გაამაყდა, ყელი მოიღერა, შავი თვალები გაუბრწყინდა. პასუხის ნაცვლად თავი გააქნია, შავი კულულები შეინძრა მის გაღეღილ მკერდზე, მთის ბროლივით თეთრად რომ უჩანდა.

— თქვი!.. — იმეორებდა გაჯიუტებული ხალხი და უცნაური ჟინით ხელდებოდა.

უშიშა იწვოდა, ტანზე ცეცხლი ეკიდებოდა, უნებურად მიუდიოდა ხელი ხანჯარზე.

ახმახი ხევსური კვლავ წამოიმართა ხალხის წინაშე:

— ხალხო! — წამოიძახა და ბრაზიანი ხმა ფოლადივით ააჟღერა — ხალხის ყურადღება მიიქცია:—აგერ ვინ ჩაიდინა მრუშობა! — და მიუთითა ხალხს მეზობელი სახლის ჭერხოს ბანზე მჯდომ სურხანისკენ.

სურხანს ზურგი ჰქონდა შექცეული ხალხისათვის, ხირიმს წმენდდა. ბეწინას ხმა მისწვდა, მაგრამ ბრაზიანი გული ჩაიწყნარა.

— ის არის, ის! — იძახდა ახმახი ხევსური.

— დიაღ, ის არის, ის! — ადასტურებდა ხმაგაკმედილი ხალხი.

— პასუხ მოეთხოვას! — წამოიძახა ვიღაცამ.

— სიკვდილი ორივეს! — უმოწმა ხალხმა.

ყამარი ფითრდებოდა. უშიშას ბრაზი ათრობდა. სურხანს გარემო უბნელდებოდა. ამ დროს ცაზე არწივი გამოჩნდა, ხამუშ-ხამუშ ყიოდა ფრინველთ მეფე, დინჯად მოსცურავდა ისფერ წირწამულში, უახლოვდებოდა კრებულს, მახვილი თვალით დასცქეროდა გაანჩხლებულ ადამიანებს და თბებოლოს აცქერებდა. მერე სურხანს გადაუარა თავზე. ალმაცერად შეხედა მონადირემ, უგემურად ჩაიღიმა...

ხალხი ღმუოდა.

— ჩაიქოლოს!..

— ქალ სოფელ არაში გამოადგება!

— ორივეს სიკვდილი!.. — გაჰკიოდა ახმახი ხევსური.

უშიშა მელდებოდა. სურხანის მოთმენის უკანასკნელი ძაფი წყდებოდა. არწივი ისფერ წირწამულში დაბოინობდა[13]). ამაყად ყიოდა. რამდენჯერმე შემოხვიდა ხალხის თავზე, მხრები ალმაცერად შეხარა, წამოიყივლა, ჭიუხებისკენ აილო გეზი და სწორედ ამ დროს დაიჭექა სურხანის ხირიმმა... არწივი ჯერ შეიკრა, წუთით გაშეშდა, შემდეგ თბებოლო აკრიფა, მოსწყდა წრეს და სივრცეში დაყირავდა. მეორედ დაიჭექა ხირიმმა, ტყვიამ ქუდივით აისრიალა არწივი ჰაერში. თოფის ხმაზე კრებული შეტორტმანდა, დათოვლულ ფრინველს მიაშტერდა... სურხანი გამალებით აყრიდა ტყვია-წამალს ხირიმს. შეკრული არწივი კი შუილით ეშვებოდა ძირს, უახლოვდებოდა კრებულს, და ის-ის იყო უნდა დაცემულიყო, რომ თოფმა მესამედ დაიჭექა. ხირიმის მძლავრმა ხმამ გორგურებს გადაუარა, გაიჭრა ველად და შორს ჭაუხები აახმაურა.

სისხლით დასვრილი არწივი დაეცა ხალხში.

— სურხან!—ამოხდა ერთხმად კრებულს.

— სურხან! — იმეორებდა მიდამო.

იდგა სურხანი და შუბლშეკრული მისჩერებოდა ხალხს, თითქოს ეუბნებოდა:

ფრთხილად, ფრთხილად ვაჟკაცებო!

ჭაბუკები მისცვივდნენ სულთმობრძავ არწივს. მკაცრ თვალებს აბრიალებდა: სამი ნატყვიარი სჭირდა ტანზე...

— სურხან!

— ვაჟკაცობა ნუ მოგიშალოს, სურხან! — იძახდნენ გაოცებულნი ხევსურნი.

უშიშას შუბლი გაეხსნა: შინშის საქებარს ამბობდა გულში.

ყამარი იდგა უძრავად, მარმარილოს ქანდაკებასავით. თავი მორცხვად დაეხარა, შავი თმის კულულები დაჰყროდა ბროლივით თეთრ მკერდზე, შავი თვალები საოცრად გაბრწყინებოდა.

— სურხან! — ამბობდნენ ყამარის თვალები.

— ვაშკაცი ხარ, სურხან, ვაშკაცი! — იმეორებდა კრებული და უფროსის სიტყვას ელოდა.

ორბივით თმა-წვერ გათეთრებული მოხუცი თორღვა ჭოლიკაური ფეხზე წამოდგა. კრებული შეათვალიერა.

— კარგი ნაქნარი გულს გაალაღებს, — დაიწყო მან ჩახლეჩილი ხმით. — გიორგათ ყმაწვილებს სიკარგე მოუდის ჯიშად... ცაზე მომავალ ფრინველსაც კი არ უშვებენ. მტერს მგლურად უხვდებიან, მაკეთის მასპინძლად. სოფელს ვაჟკაცის სახელი ვაახარებს, ვაჟკაცის იმედი ნუ მოგვიშალოს, მაგრამ... ჩვენ. ჩვენ საქმეს დაუბრუნდით... ქალავ! — მიმართა მან ყამარს: — თქვი, ვინ ჩაიდინა შენთან მრუშობა? როგორც ხედავ... ხალხს ეჭვი სურხანზე მიაქვს და... ტყუილად ცოდვას ნუ დაიდებ, ხალხს შეცდომაში ნუ შეიყვან, ხალხმა იცის სიყვარულიც და სიძულილიც, ყველას თავის გზა გამოინახების... გვითხარი, აბა რაისად მალავ?

უშიშას ბიჯი წაიძრა თორღვაისკენ.

ყამარს სახე გაუფითრდა... უნებური მზერა ესროლა სურხანს.

— ის იას, ისი! — იძახოდა ახმახი ხევსური.

— დიაღ, ის იას! — უმოწმებდა ხმაგაკმედილი კრებული.

მოხუცმა თორღვამ უშიშას გადახედა: თვალებით რაღაცა სთქვეს, და თემის უფროსმა დაიწყო:

— როგორც ჩანს, გიორგათ სურხანს შეურცხვენია თავი... კარგი ვაჟკაცისაგან ხალხი კა საქმეს ელის, მაგრამ... მიუხდომიც არა მოხდების... მოდით და ციხეს ნუ დავშლით, რკინის კარს ნუ შევხსნით თემსოფელს — ვაჟკაც ქირლხინის დღეში ვამოადგების. ყველას თავის წეს იაქვის: სურხან თემსოფელს „ხარითა ქვაბით" შაურიგდეს... შერცხვენაც ვაკმაროთ. ქალი კი... ხალხს არაში გამოადგების, სხვათ სახლის ყორის ქვა იას, ხვალ ქმარს გაჰყვების... მოვიკვეთოთ... მოშორდას სოფელს, კვლავ სხვა აღარ გაბედას უნამუსოს საქმეს... დღეს შემდეგ ყამარისა ნუც სახელი იყოს ჩვენი სახელი, ნუც სირცხვილი ჩვენი სირცხვილი... სადაც უნდა, იქ იაროს: ქვეყანა დიდ იას. სახლში ნურავინ შეუშობს, ტაბლას ნურავინ გადმოუდვამს... მოშორდას სოფელს!..

ხალხი შეირხა, ნაბიჯი წაძრა ყამარისკენ. ჩოჩქოლი ატყდა.

— შესდექით!.. — შესძახა ჭოლიკაურთ თორღვამ. წინ გადაუდგა.

კრებული გატვრინდა. ყამარი კი ულონოდ დაეცა დედამიწაზე... ხალხი ნელნელა დაიშალა. ის მარტო დარჩა, ხელფეხ მოდუნებული, ფურთხით შესვრილი, შერცხვენილი. უკუნი ღამე ეხვეოდა საფრად...

მიწყნარდა ყველა. ყველა თავის ბინას მიჰბარდა. სოფელში ჩქამიჩქუმი მისწყდა, და უცბად ცხენის ფეხის ხმამ შესძრა სოფლის შარა. შავი ცხენი შეტოტავდა ყამარის გვერდით. ნაბადწამოსხმული მხედარი გადმოხტა, დასწვდა ქალს, ყურში რაღაც უთხრა, ათრთოლებული ტუჩებით შეეხო ლოყაზე, და სოფელში იდუმლად შეპარულმა ნიავმა მოიტაცა ყამარის ბაგეთაგან მოწყვეტილი სიტყვა:

„სურხან!"

მხედარს ხმა აღარ ამოუღია, ყამარი აიტაცა, სწრაფად მოახტა საფერხეს და სადავე მიაბა; ტოტზე შემდგარი ცხენი ელვის სისწრაფით მოსწყდა ადგილს და უკუნ ღამეში დაინთქა.

ეს იყო და ეს...

თემსოფელმა შეივრდომა სურხანი—ვაჟკაცობით აპატია დანაშაული. მაგრამ სურხანი... იმ დღის შემდეგ არ დამჯდარა ხევსურთ ჯარზე. ყამარის ამბავი არავის უკითხია: საით წავიდა, არავინ იცის...

მძიმე ამოოხვრით დაამთავრა ამბავი მოხუცმა და ჩაფიქრებული, უძრავად მიაშტერდა სივრცეს.

ფეხონში ხმა არავის ამოუღია— უცნაური დარდი რამ ჩამოწვა გარშემო.

ჩემი ამხანაგი ერთხანს გარინდებული იჯდა, შემდეგ ადგა, უხმოდ დასტოვა ფეხონი და თავდახრილი გაემართა შინისკენ. მე უკან გავყევი, შევამჩნიე, რაღაც აწუხებდა (იქნება ყამარის უბედურება?). გზაში მოწაფეები გვხვდებოდნენ, ქალ-ვაჟნი მხიარული სიცილ-ხარხარით მიდი-მოდიოდნენ. პიონერი გოგონა გადმოდგა გზის პირზე, გაგვიცინა, ყვავილები გვესროლა, წინ შემოგვირბინა, მაგრამ შეხედა თუ არა ჩემს ამხანაგს, მაშინვე გზა დაგვითმო.

მას ხმა არავისათვის არ გაუცია. ჩუმად შეაღო ოთახის კარი, პირქვე დაწვა ლოგინზე და გაირინდა...

მაოცებდა მისი საქციელი. გვერდზე დავუჯექ, ხუჭუჭ თმაზე ხელი გადავუსვი და ვკითხე:

— რა დაგემართა, შალვა, რატომ მოიწყინე?

მან ნაღვლიანად გაიღიმა. აღარ მოვეშვი:

— მითხარი, ბიჭო, რა დაგემართა?!

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა: ჩაფიქრდა და ცივი ხმით მითხრა:

მოხუცი ჩემი მშობლების ამბავს გვიყვებოდათ...

— როგორ!?

— ყამარი დედაა ჩემი...

— შენ ხომ ქართლიდანა ხარ?!

— დიაღ... ჩემი მშობლები იქ გადასახლებულან... ეხლა მივხვდი, რატომ უპაროდა მამაჩემს სურხანს ჩემი ხევსურეთში მასწავლებლობა: გინდა თუ არა იქ უნდა წახვიდეო.

— კი, მაგრამ ეს ხომ ძველი ამბავია...

— მე უმცროსი შვილი ვარ იმათი.. უფროსი ვაჟი ცოლშვილიანია. დები გათხოვდნენ, დედა ძალიან მოხუცია, მამა კი... საკმაოდ ღონიერია, კოლმეურნეობაში მუშაობს. ერთად წავალთ, ვნახავთ იმათ.

— წამოვალ, უეჭველად წამოვალ!—მივაძახე გახარებულმა. მინდოდა გავჭრილიყავი სოფლის შარაზე, მენახა ის მოხუცი და მეთქვა მისთვის ახალი ამბავი, მაგრამ შალვამ დამიშალა:

— თავათ მოვიდეს მამა... მე მოვიყვან, უეჭველად მოვიყვან.., — ამბობდა ის და ჯიბეში რაღაცას ეძებდა.—აი მათი სურათი, შარშან არის გადაღებული... —მითხრა მან ბოლოს და ტკბილად ჩაიცინა:—ხომ ხედავ, მამა ისევ ყოჩაღადაა! იხუმრა შალვამ.

მე მოუთმენლად დავაშტერდი სურათს:

ისხდნენ ჯალაბნი ყურძნის მტევნებით ჩამძიმებულ ვენახში და ლაღნი ლაღად უღიმოდნენ ცხოვრებას.

---

[13]) დაბოინობდა — წრეს აკეთებდა.

საზღვარგარეთ

შექსპირის შეურაცხყოფა

როგორც ანტიფაშისტური ჟურნალი „დას ვორტი" გადმოგვცემს, გერმანიაში გამოსულა რასული თეორეტიკოსის განს გიუნტერის წიგნი „ქალიშვილები და ქალები შექსპირის ნაწერებში რასულობის თვალსაზრისით". ეს შრომა გიუნტერს დაუწერია იმისათვის, რომ „შექსპირის ქალთა სახეების საშუალებით მიეთითებინა ახალგაზრდა მამაკაცებისათვის ქალთა და ქალიშვილთა რომელ ტიპებისათვის მიექციათ ყურადღება". შექსპირის ნაწერებში გამოყვანილ ქალთა უმრავლესობა, გიუნტერის განმარტებით, არ გამოდგება ცოლებად და საყვარლებად „რასულად სრულყოფილ" ახალგაზრდებისათვის. ვერც კლეოპატრა, ვერც დეზდემონა, რომელმაც „რასის სიწმინდე" დაარღვია, ვერც ჯულიეტა, რომელიც სამხრეთელი ქალის ტიპს ანსახიერებს, ვერც ოფელია, ვერც კრესიდა ვერ უძლებენ კრიტიკას რასული თეორიის თვალსაზრისით. ყველა ესენი ფაშისტ „თეორეტიკოსმა" „დაიწუნა". სამაგიეროდ ძალზე აღფრთოვანებულია გიუნტერი ლედი მაკბეტით. მისი აზრით, „ქალის ასეთი ტიპი შეეფერება გერმანელ მამაკაცს".

ყოვლად წარმოუდგენელია შექსპირის უფრო მეტად დაცინვა და გამასხარავება, ვიდრე ფაშისტ დეგენერატის ეს „გამოკვლევაა".

რამდენი სახელწოდების წიგნია მსოფლიოში

ბიბლიოთეკარების საერთაშორისო ყრილობაზე, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად გაიმართა პარიზში, გამოქვეყნებულ იქნა სტატისტიკური ცნობები, თუ რამდენი სახელწოდების ნაბეჭდი წიგნია მსოფლიოში. დაახლოებითი გამოანგარიშებით, ცნობილია ოცდაათი მილიონის სახელწოდების წიგნი. ყოველწლიურად გამოდის ორასი ათასი სახელწოდების წიგნი. ყველაზე მეტი წიგნი დაწერილია ნაპოლეონ პირველისა და მისი ეპოქის შესახებ. ამ თემაზე არსებობს სამოცდაათი ათასი სახელწოდების წიგნი.

ხემინგუეი ახალ რომანზე მუშაობს

ამერიკული პრესის გადმოცემით, ერნესტ ხემინგუეი, ესპანეთში ხანგრძლივად ყოფნისა და ამერიკაში მოგზაურობის შემდეგ, დასახლდა ფლორიდაში, რათა დასწეროს აქ უკვე მოფიქრებული ახალი რომანი. ამ რომანის თემაა—სამოქალაქო ომი ესპანეთში და მასში ამერიკელ მოხალისეთა მონაწილეობა.

პასუხისმგებელი რედაქტორი შალვა რადიანი.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, მაჩაბლის ქუჩა № 18 (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 8—47—10.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", კამოს ქ. № 68.

წთავლიტის რწმუნებული 727